საქართველოს ისტორია

XII კლასი

დამხმარე სახელმძღვანელო

ავტორები: ნიკა უთალიშვილი
ლელა კაკაშვილი

საქართველოს ისტორია

XII კლასი
სასწავლო რესურსი

თბილისი,
2024

სარჩევი

თემა I: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა

N1. საკითხი: ბრესტის ზავი და საქართველო (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 7

N2. საკითხი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 47

N3. საკითხი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთთან (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 83

N4. საკითხი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 106

თემა II: საქართველო საბჭოთა კავშირში

N1. საკითხი: ბოლშევიკური რეპრესიები და "დიდი ტერორი" (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 146

N2. საკითხი: ქართველები II მსოფლიო ომში (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 178

N3. საკითხი: ანტისაბჭოთა გამოსვლები და დისიდენტური მოძრაობა საქართველოში (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 198

N4. საკითხი: "9 აპრილიდან 9 აპრილამდე" საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა) 229

თემა III: საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

N1. საკითხი: საბჭოთა კავშირის კოლაფსი და ''ახალი'' დამოუკიდებელი საქართველო (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა)..... 251

N2. საკითხი: საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა)..... 281

N3. საკითხი: მულტიკულტურალიზმი საქართველოში და საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში (პროექტული დავალება - მეთოდური ორიენტირები; კონტექსტ-მაგალითი; წასაკითხი მასალა/რიდერი; გამოყენებული ლიტერატურა)..... 315



სამიზნე ცნებები	საკითხი / საკითხები	სარეკომენდაციო პარაგრაფები სახელმძღვა-ნელოებიდან	პროდუქტი	რესურსი: კონტექსტ-მაგალითი
ისტორიული მოვლენა/ პროცესი, სივრცე, საზოგადოება	ბრესტის ზავი და საქართველო	1.გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ პარ. 20 (გვ.110-112) 2.გამომცემლობა „დიოგენე“. პარ. 26 (გვ. 135-137)	ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომისათვის წარსადგენი **მოხსენების მომზადება** ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეების და გამოწვევების შესახებ.	ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და საქართველო
ისტორიული მოვლენა/ პროცესი; ძალაუფლება, დრო	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია	1. გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ პარ. 21 (გვ.113-118) 2.გამომცემლობა „დიოგენე“, პარ.26 (გვ.139); პარ. 28 (გვ.147-150); პარ. 28 (გვ. 151-154)	**მემუარების შექმნა** საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობისა და I კონსტიტუციის შესახებ	საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია
წყარო	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთთან	1.გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ პარ. 22 (გვ.122-123) პარ. 24 (გვ. 130) 2.გამომცემლობა „დიოგენე“, პარ. 26 (გვ.139); პარ. 30 (გვ.155-158)	**მოხსნების შექმნა** ერთა ლიგაზე წასადგენად, ბოლშევიკური რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხის ასარიდებლად.	გრიგოლ ურატაძის მოგონებები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ
სივრცე (გარემო, ტერიტორია) **საზოგადოება**	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია	1.გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“ პარ. 24 (გვ. 131-133) 3.გამომცემლობა „დიოგენე“, პარ.31 (გვ.159-163)	**ჯარისკაცის ჩანაწერების/ დღიურის შექმნა** ფრონტის ხაზზე, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.	ქართველი იუნკერებისა და წითელარმიელი ჯარისკაცების ჩანაწერები

საკითხი I. ბრესტის ზავი და საქართველო

სამიზნე ცნება: სივრცე, ისტორიული მოვლენა/პროცესი, საზოგადოება

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში საბჭოთა რუსეთმა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან ხელი მოაწერა სეპარატიულ ზავს. ზავის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა დიდი ტერიტორია დათმო. ეს შეეხო სამხრეთ კავკასიასაც. **ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლში აღნიშნული იყო: "არტაანის, ბათუმისა და ყარსის ოკრუგები დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი აღარ უნდა ჩაერიოს ამ ოკრუგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში და მოსახლეობას უფლება მისცეს ახალი წყობილება დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან - თანხმობით".**

წარმოიდგინე, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის წევრი ხარ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. დაგევალა, რომ მოამზადო ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომისათვის წარსადგენი **მოხსენება**, რომელშიც ყურადღებას გაამახვილებ, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე. მოხსენებას აუცილებლად დაურთე შენ მიერ **შექმნილი რუკა**, რომელშიც ასახული იქნება ამიერკავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების IV მუხლით გამოწვეული ცვლილებები და გამოწვევები.

მოხსენებაში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- მიზეზები, რომლებმაც განაპირობა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საბჭოთა ხელისუფლების მიერ სეპარატიული ზავის დადება და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება აღნიშნული ზავის მიმართ;
- რა საფრთხეებს გააააქტიურებს ბრესტ-ლიტოვსკის ზავი სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში;
- ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგები. როგორ იმოქმედა ამ მოვლენამ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე;
- რა ცვლილებები მოხდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების შედეგად;

მეთოდური ორიენტირები

საკვანძო კითხვა: რატომ და როგორ შეცვალა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მუხლებმა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რუკა და როგორ აისახა მასში საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიული ცვლილებები?

სარეკომენდაციო აქტივობა I

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალების ინსტრუქციას: ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით აღწერონ ერთი სიტყვით და შესაბამისი განმარტებით 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები რუსეთსა და ამირკავკასიაში.

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკური შედეგი რუსრთში

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკური შედეგი ამიერკავკასიაში

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ეკონომიკური შედეგი რუსრთში

1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ეკონომიკური შედეგი ამიერკავკასიაში

სარეკომენდაციო აქტივობა II

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, გაიხსენონ შესწავლილი მასალა და ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით იმსჯელონ იმ მიზეზებზე, რომლებმაც გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საბჭოთა ხელისუფლების მიერ სეპარატიული ზავის დადება განაპირობა და გამოხატონ საკუთარი პოზიცია.

გერმანია და მისი მოკავშირეები	საბჭოთა რუსეთი

ჩემი პოზიცია

სარეკომენდაციო აქტივობა III

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ საკითხავ მასალას და ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით იმსჯელონ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან საბჭოთა ხელისუფლების მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ.



სარეკომენდაციო აქტივობა IV.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ინსტრუქციას: დაუკვირდნენ და შეისწავლონ ამერიკელი კარიკატურისტის ელმერ ენდრიუს ბუშნელის მიერ 1918 წელს შექმნილი პოლიტიკური კარიკატურა “სამი ძვალი”, უპასუხონ კითხვებს და იმსჯელონ “ანტანტის” სახელმწიფოთა დამოკიდებულების შესახებ აღნიშნული ზავის მიმართ.

პოლიტიკური კარიკატურა	კითხვები
 **წარწერა:** ბერლინის უახლესი სამშვიდობო პირობები რუსეთთან: რუსეთის ტერიტორიებს ამიერკავკასიაში: ყარსის, ბათუმისა და არტაანის ტერიტორიებს უთმობს თურქეთს.	1.რა სიმბოლოებია გამოყენებული კარიკატურაში? თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ისინი? 2.ხელშეკრულების რომელი კონკრეტული მუხლია გაშარჟებული მოცემულ კარიკატურაში? 3.როგორ ფიქრობთ, ვინ არის ამ კარიკატურის სამიზნე აუდიტორია? 4.თქვენი აზრით, როგორ იკითხება ამ კარიკატურაში "ანტანტის" სახელმწიფოების დამოკიდებულება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიმართ?

სარეკომენდაციო აქტივობა V.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლს და წარმოადგინონ მისი SWOT ანალიზი ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით:



სარეკომენდაციო აქტივობა VI.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს მოცემული საანალიზო ცხრილის მიხედვით იმსჯელონ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შედეგების სადაიმგავლენის შესახებ, რომელსაც ამ საზავო ხელშეკრულების IV მუხლი მოახდენდა საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე, ასევე საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ აღნიშნული მუხლის მიმართ.

	სავარაუდო პოლიტიკური შედეგი	სავარაუდო ეკონომიკური შედეგი	სავარაუდო სოციალური შედეგი	სავარაუდო კულტურული შედეგი	საზოგადოების დამოკიდებულება
ბრესტ-ლიტოვსკის ზავის IV მუხლში აღნიშნული იყო: "არტაანის, ბათუმისა და ყარსის ოკრუგები დაუყოვნებლივ უნდა გაიწმინდოს რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი აღარ უნდა ჩაერიოს ამ ოკრუგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში და მოსახლეობას უფლება მისცეს ახალი წყობილება დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ოსმალეთთან - თანხმობით".					

სარეკომენდაციო აქტივობა VII.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ კონტურულ რუკაზე აღნიშნონ ის საფრთხეები და ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების შედეგად.



ბრესტის ზავი და კავკასიის განაწილება

კონტექსტ-მაგალითი (ქეისი)

ბრესტ-ლიტოვსკის ზავი (1918) და საქართველო



ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენცია

მაშინ როცა ამიერკავკასიის მთავრობა ერზინჯანში პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯს დგამდა საგარეო პოლიტიკის ხაზით, ამის პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მუშაობას იწყებდა რუსეთსა და გერმანიის ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა სამშვიდობო საზავო კონფერენცია.

საბჭოთა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: იოფე (თავმჯდომარე), სოკოლნიკოვი, ბიცენკო, კარახანი, ბელიაკოვი, მატროსი ოლიჩი და ოფიცერი სტაშკოვი, ჯერ კიდევ 1917 წლის 3 დეკემბერს დაიწყეს მოლაპარაკება გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისა და დროებითი ზავის საკითხებზე.[1]

პირველსავე სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მოწინააღმდეგე მხარეს შესთავაზა წინადადება, რათა მიეღოთ დეკლარაცია „საერთო მშვიდობის შესახებ". გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა გენერალმა გოფმანმა, რომელიც ამავე დროს იყო აღმოსავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი, საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეს განუცხადა: „დეკლარაციების მიღება პოლიტიკოსთა საქმეა. მე, როგორც სამხედრო პირს, უფლება მაქვს გელაპარაკოთ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სამხედრო პრინციპებიდან გამომდინარე".[2] ეს კი ნიშნავდა იმას, რომ გერმანია და მისი ერთგული მოკავშირეები საბჭოთა რუსეთთან აპირებდნენ მხოლოდ სეპარატისტული ხელშეკრულების დადებას და აქვე მიანიშნებდნენ, რომ მათ არ ჰქონდა უფლება ანტანტის სახელით ელაპარაკათ და „საერთო მშვიდობის" დეკლარაციის მიღება მოეთხოვა.

---

[1] История дипломатии, Т. 3, Москва.;1945. с. 67.
[2] И. Минц. Год 1918-й. Москва.;1982 с.15.

მომდევნო სხდომაზე, რომელიც გაიმართა 4 დეკემბერს, საბჭოთა დეგელაციამ გერმანიასა და მის მოკავშირეებს წარუდგინა საკუთარი პროექტი – დროებითი ზავის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ მუხლებს:

1. დროებითი დაზავება უნდა მომხდარიყო 6 თვის ვადით;

2. საბრძოლო ოპარეციები უნდა შეჩერებულიყო ყველა ფრონტზე;

3. გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო შენაერთებს უნდა გაენთავისუფლებინათ მაოზუნდის კუნძულები და ქალაქი რიგა;

4. დაუყოვნებლივ უნდა შეჩერებულიყო გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ სამხედრო კონტიგენის გადაყვანა დასავლეთის ფრონტზე;[3]

გერმანიისა და მისი მოკავშირეებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა აღნიშნული პროექტის მე-3 და მე-4 მუხლები. გენერალი გოფმანი, რომელიც აღშფოთებული იყო საბჭოთა დელეგაციის მიერ შეთავაზებული პროექტით, განაცხადა; „ასეთი ულტიმატუმის წამოყენება შეუძლიათ მხოლოდ გამარჯვებულთ" და ამით მიანიშნა საბჭოთა დელეგაციის მესვეურთ, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები არ აპირებდნენ მათი მონაპოვრის ასე ადვილად დათმობას.[4]

მხარეებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო, 5 დეკემბერს საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა მოლაპარაკებების დროებით შეწყვეტა. გერმანელები ამ განცხადებამ მეტად აღაშფოთა, რადგანაც მათ გაუჩნდათ შიში იმისა, რომ შესაძლებელი იყო საბჭოთა მთავრობას საერთოდ უარი განეცხადებინა მოლაპარაკებათა გაგრძელებაზე და კვლავ განეახლებინა საომარი ოპერაციები, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა გერმანიისა და მისის მოკავშირეების მიერ დასახულ მიზნებს.[5]

15 დეკემბერს დასრულდა მოლაპარაკებათა ბოლო რაუნდი და დაიდო დროებითი შეთანხმება ერთის მხრივ საბჭოთა რუსეთსა და მეორეს მხრივ – გერმანია, ავსტრია–უნგრეთ, ბულგარეთსა და თურქეთს შორის. ეს

---

[3] И. Минц დას. ნაშრ. გვ. 16.
[4] История дипломатии.Т.3, с. 68.
[5] А Бовин. Суровая школа Бреста. "Известия" №263; Москва;.1987. с.6.

დროებითი შეთანხმება ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების 28 დღით შეწყვეტას.[6]

ამავე ხელშეკრულების მიხედვით, თუ რომელიმე მხარე მიზანშეწონილად ჩათვლიდა საომარი ოპერაციების გაგრძელებას, ის ვალდებული იყო ამის თაობაზე თავისი მოწინააღმდეგე მხარე 7 დღით ადრე გაეფრთხილებინა.[7]

ეს დროებითი ზავი საბჭოთა რუსეთს სჭირდებოდა იმისათვის, რომ გარკვეული დრო მოეგო და დაერწმუნებინა ანტანტის ქვეყნები, ჩართულიყვნენ საზავო კონფერენციაში და ამით წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანიისა და მისი მოკავშირეების მადის აღმძვრელ პრეტენზიებზე. მაგრამ საბჭოთა დიპლომატების იმედები არ გამართლდა, რადგანაც ანტანტის ქვეყნებმა უარი განაცხადეს საზავო კონფერენციაში მონაწილეობაზე.[8]

მიუხედავად ამისა საბჭოთა მთავრობამ მიზანშეწონილად ჩათვალა, დამოუკიდებლად დაეწყო მოლაპარაკებები გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად და ამით გადაერჩინა ახლახანს მოპოვებული ძალაუფლება.

1917 წლის 22 დეკემბერს, ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო ოფიციალური სამშვიდობო საზავო კონფერენცია, ერთის მხრივ – გერმანია, ავსტრია-უნგრეთ, ბულგარეთსა და თურქეთს, ხოლო მეორეს მხრივ კი საბჭოთა რუსეთს შორის, საბოლოო ზავის გასაფორმებლად.. აღნიშნული საზავო კონფერენცია თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და 1918 წლის 3 მარტამდე გაგრძელდა.[9]

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე გერმანიის ოფიციალურ მხარეს წარმოადგენდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი კიულმანი და შეიარაღებული ძალების მთავრასარდალი გენერალი გოფმანი. ავსტრია-უნგრეთისას – საგარეო საქმეთა მინისტრი ჩერნინი. ბულგარეთისას –პოპოვი.

---

[6] И. Ксенофонтов. Выход советской Росии из империалистической войны. Москва ;1989..с. 11.
[7] А Чубарян. Бретский мир. Москва,1964с. 93
[8] Бретский мир. "Новое время" №12; Москва.,1987. с. 27.
[9] მ სიორიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში. ბათუმი.;2002. გვ.180.

თურქეთისას – თალაად ფაშა, ხოლო საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ –იოფე, კამენევი, პოკროვსკი, ბიცენკო და კარახანი.[10]

კონფერენციის პირველსავე სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციამ გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაციის წევრებს წარუდგინეს პროექტი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შემუშავებულიყო სამშვიდობო ხელშეკრულების შინაარსი.[11]

მას შემდეგ, რაც კონფერენციის წევრები გაეცნენ საბჭოთა დელეგაციის მიერ შემუშავებულ ხელშეკრულების პროექტს, გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა – კიულმანმა მოითხოვა კონფერენციის მონაწილე ყველა წევრს დარიგებოდა ხელშეკრულების პროექტი, უკეთ გაცნობის მიზნით. ასევე მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, კონფერენციამ ერთი დღით შესვენება გამოაცხადა.[12]

კონფერენციამ მუშაობა 25 დეკემბერს განაახლა. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ კიულმანმა, საბჭოთა დელეგაციას განუცხადა, რომ მოკავშირეები მზად იყვნენ საბჭოთა დელეგაციის მიერ შემუშავებული ხელშეკრულების პროექტზე დაყრდნობით გაეგრძელებინათ მუშაობა, მაგრამ ეს ყოველივე კეთდებოდა თვალის ახვევის მიზნით, რადგანაც გერმანიის ბლოკს არ სურდა ამ შემთხვევაში გამოეაშკარავებინა ის ზრახვები, რომელიც მას ჩაფიქრებული ჰქონდა და რომლის რეალიზებასაც მოგვიანებით აპირებდა.[13]

საბჭოთა დელეგაცია კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, ხელშეკრულების პროექტიდან მე-3 და მე-6 მუხლების არამარტო ამოღებისა, არამედ ამ მუხლების გარკვეული ფორმით შესწორებისაც. პოზიციათა შეუთანხმებლობის გამო, ორივე მხარის წარმომადგენელთა წინასწარი შეთანხმების საუძველზე, კონფერენციაზე გამოცხადდა შესვენება 10 დღით.[14]

---

[10] А. Чубарьян დას. ნაშრ. გვ. 102.
[11] Мирные переговоры и Брест-Литовске Т 1, Москва.;1920. с. 6-8.
[12] А Абашидзе. "Аджария" М.,1998 с 127
[13] История дипломатии Т 3, с. 77.
[14] А. Чубарян. დას. ნაშრ. გვ. 104.

საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთხელ სცადა საერთო ენის გამონახვა ანტანტის სახელმწიფოებთან. ამ მიზნით, 30 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომიტეტი გზავნის სპეციალურ მიმართვას ანტანტის სახელმწიფოებისადმი: „სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობს ბრესტ-ლიტოვსკში და რომელზედაც გამოცხადდა შესვენება 10 დღით, ერთხელ კიდევ გაძლევთ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ კონფერენციაში და ამით თავიდან აიცილოთ სეპარატისტული ზავის დადება რუსეთსა და გერმანიის ბლოკს შორის“.[15]

ანტანტის სახელმწიფოებმა, აღნიშნული მიმართვა ისევე უყურადღებოდ დატოვეს, როგორც ეს მოხდა 1917 წლის 8 ნოემბრის თხოვნასთან დაკავშირებით, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ისინი უფრო გააქტიურდნენ კონტრრევოლუციური ძალებისადმი გარკვეული დახმარების აღმოჩენის თვალსაზრისით. ამ კუთხით უფრო აქტიურობდა ა.შ.შ.-ის მთავრობა.[16] რაც შეეხება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ისინი უფრო ფარული გარიგებებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. კერძოდ, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის დაწყების მეორე დღეს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება – რუსეთის ტერიტორიის სფეროებად გაყოფის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების მე-3 მუხლის მიხედვით, საფრანგეთის გავლენის სფეროში შედიოდა ბესარაბია, უკრაინა და ყირიმის ნახევარკუნძული, ხოლო ინგლისის გავლენის სფეროში კი უნდა მოქცეულიყო ჩრდილოეთ კავკასია, სომხეთი, საქართველო და ქურთისტანი.[17]

მას შემდეგ, რაც კონფერენციის მსვლელობის დროს მხარეებს შორის გამოცხადდა შესვენება, გერმანიის მთავრობის ფართო წრეებში თავი იჩინა გარკვეულმა უთანხმოებამ. კერძოდ, გერმანიის სამხედრო გენერალიტეტი კმაყოფილი იყო ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებათა მსვლელობით და დაუყონებლივ მოითხოვდა მოლაპარაკებათა შეწყვეტას.

---

[15] Документы внешней политики ССР. Т.1, Москва.;1957. с 67
[16] Ф Аржанов. В. И. Ленин и Бретский мир. Ленинград.;1968. с.5.
[17] У. Черчилль Мировой кризис Москва.;1932. с.105.

გენერალი ჰინდერბურგი, რაიხკანცლერისადმი გაგზავნილ საპროტესტო წერილში წერდა: „მიმდინარე საზავო კონფერენცია ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოსდა არა ჩვენ, არამედ რუსეთი წარმოადგენდეს გამარჯვებულ სახელმწიფოს, რომელიც გერმანიისა და მისი მოკავშირეებისაგან მოითხოვს მის მიერ წამოყენებული ულტიმატუმის დაუყოვნებლივ შესრულებას".[18]

გერმანიის დელეგაციის მუშაობით ასევე უკმაყოფილო იყო გენერალი ლუდენდროფი, რომელიც დელეგაციის მხრიდან მოითხოვდა საზავო მოლაპარაკებების უმოკლეს ვადაში დასრულებას.[19] 2 იანვარს გერმანიის სამხედრო შტაბში გაიმართა ფართო წარმომადგენლობითი თათბირი, რომელსაც ესწრებოდა თვით იმპერატორი ვილჰემ II. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მიღებული იქნა ასეთი შინაარსის დადგენილება: 1) უარი ეთქვას საბჭოთა მთავრობას კონფერენციის სტოკჰოლმში გადატანასთან დაკავშირებით; 2) უმოკლეს ვადებში მოხდეს იმ ტერიტორიების გერმანიისათვის მიერთება, რომლებიც რუსეთს გამოეყვნენ და 3) უმოკლეს დროში უნდა მოხდეს სეპარატისტული ზავის დადება უკრაინის რადასთან.[20]

კონფერენციამ თავისი მუშაობა გამოცხადებული 4 იანვრის ნაცვლად 9 იანვარს განაახლა. ამავე დროს საბჭოთა დელეგაციის რიგებში მოხდა ცვლილება. დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ლევ ტროცკი. ასევე დელეგაციას შეუერთდნენ კარელინი, სტუჩკა, მისკავიჩუს-კაპსუკასი და ბობინსკი.[21]

სხდომის დაწესებისთანავე სიტყვა აიღო კიულმანმა, რომელმაც საბჭოთა დელეგაციას განუცხადა: „გერმანია და მისი მოკავშირეები მზად იყვნენ მიეღოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების პროექტი ე.წ. – ზავი ყოველგვარი ანექსიისა და კონტრიბუციის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულების პროექტი მისაღები

---

[18] И Минц. დას. ნაშრ. გვ. 30.
[19] Э. Людендроф. Мои воспоминание о войне 1914-1918 гг Москва.;1924. с. 122.
[20] И. Минц. დას. ნაშრ. გვ30.
[21] Мирные переговоры в брест-Литовске Т.1, с. 41-43.

იქნებოდა სხვა მეომარი ქვეყნებისათვისაც. ვინაიდან ანტანტის ბლოკში შემავალ არცერთ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს სურვილი, მონაწილეობა მიეღო კონფერენციის მუშაობაში, ამიტომაც შემოთავაზებული ხელშეკრულების პროექტი ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს".[22]

კიულმანის შემდგომ სიტყვა ითხოვა ჩერნინმა, რომელმაც საბჭოთა დელეგაციას ღიად განუცხადა: „რადგანაც ანტანტის ბლოკში შემავალი არცერთი სახელმწიფო არ გამოეხმაურა თქვენს მიერ წარმოდგენილ პროექტს, ამიტომაც დღეიდან ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ და მხოლოდ სეპარატულ ზავზე".[23] 10 იანვრის სხდომაზე მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ცენტრალური რადის წარმომადგენლებმაც. მათ განაცხადეს, რომ „ვინაიდან საბჭოთა მთავრობის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა უკრაინაზე, ამიტომ დეკრეტი „საერთო მშვიდობის შესახებ" არ შეეხებოდა უკრაინას და ის იწყებდა დამოუკიდებლად მოლაპარაკებების გამართვას გერმანიის ბლოკთან". საბოლოოდ კი აღნიშნული მოლაპარაკებანი დასრულდა იმით, რომ 12 იანვარს გერმანიის ბლოკმა უკრაინა ცნო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახალხო რესპუბლიკად.[24]

კონფერენცია ჩიხში მოექცა და მხარეთა შეუთანხმებლობის გამო ვითარება უფრო და უფრო დაიძაბა. კიულმანმა 11 იანვარს გამართულ პოლიტიკური კომისიის მორიგ სხდომაზე ღიად განაცხადა, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას და მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების – ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, ესტონეთისა და ბელორუსიის დატოვებას.[25]

ყოველივე ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება – ულტიმატუმის წაყენებისა საბჭოთა მხარისადმი. ეს მისია დააკისრეს გენერალ გოფმანს. 18 იანვარს მან საბჭოთა დელეგაციას მაგიდაზე გადაუშალა რუკა, რომელზედაც გავლებული იყო სადემარკაციო ხაზი.[26]

---

[22] А. Чубарьян. დას. ნაშრ. გვ.126.
[23] Мирные переговоры в брест-Литовске. Т.1, с. 47
[24] И. Минц დას. ნაშრ. გვ37.
[25] История дипломатии. Т 3, с. 86.
[26] იქვე:

საბჭოთა დელეგაციის კითხვაზე, თუ რას ნიშნავდა რუკაზე გავლებული ხაზი, გენერალმა გოფმანმა ასეთი პასუხი გასცა: „გავლებული ხაზი ნაკარნახევია სამხედრო თვალსაზრისით. ის ხაზს იქით მცხოვრებ მოსახლეობას უზრუნველყოფს მშვიდი სახელმწიფოებრივი მშენებლობითა და თვითგამორკვევის უფლებათა განხორციელებით".[27]

აღნიშნული გეგმის მიხედვით, ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიას უნდა ჩამორთმეოდა 150 ათასი კვ/კმ. გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს უნდა დაეკავებინა პოლონეთი, ლიტვა, ბელორუსიის გარკვეული ნაწილი. ასევე უკრაინის, ესტონეთის და ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა ამისა, გერმანიის კონტროლქვეშ უნდა გადასულიყო ბალტიის მნიშვნელოვანი პორტები, რომელზედაც მოდიოდა რუსეთის მთლიანი ექსპორტის 27% და იმპორტის 20%.[28]

ასეთი ულტიმატუმი მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა დელეგაციისათვის, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია თვით პარტიის შიგნით. ამაზე მიუთითებს 1918 წლის 8 იანვარს გამართული ცენტრალური კომიტეტის სხდომა, სადაც საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სამი განსხვავებული მოსაზრება არსებობდა: 1) ლენინი და მისი მომხრეები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ზავის დადებას; 2) ტროცკის მომხრეები კი იდგნენ იმ აზრზე, რომ არც ომი და არც სამარცხვინო ზავი; 3) მემარცხენე კომუნისტები კი მოითხოვდნენ ომის განახლებას გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.[29]

საბჭოთა დელეგაციის წინაშე იდგა ორი საკითხი: 1) მათ ან უარი უნდა ეთქვათ გერმანიისა და მისის მოკავშირეების მიერ წამოყენებულ ულტიმატუმზე და კვლავ განეახლებინა საომარი მოქმედებები ან კიდევ, ხელი უნდა მოეწერათ სეპარატისტულ ზავზე.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა – ტროცკიმ, კი უფრო სხვა გზა აირჩია და მთავრობასთან შეუთანხმებლად, 10 თებერვლის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ „საბჭოთა მთავრობა წყვეტდა საომარ

---

[27] И Минц. დას. ნაშრ. გვ38.
[28] История дипломатии Т. 3, с. 86.
[29] И Бурхин. Историческая бытва за мир Москва.,1976. с. 11.

მოქმედებებს და ახდენდა არმიის დემობილიზაციას და ამასთანავე უარს ამბობდა ზავის დადებაზე.[30]

არ დაჯერდა რა ის თავის განცხადებას, 11 თებერვალს ტელეგრამა გაუგზავნა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ კრილენკოს და მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეცა ბრძანება საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და არმიის დემობილიზაციის შესახებ.[31]

ლენინის დეკრეტით შეჩერებული იქნა არმიის დემობილიზაციის საკითხი, ხოლო ტროცკის საქმიანობა შეფასდა უარყოფითად, ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით, ჩიჩერინს დაეკისრა საკუთარ თავზე აეღო მთელი უფლებამოსილება და სათავეში ჩასდგომოდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს.[32]

ტროცკის ასეთი საქციელი ერთის მხრივ დიდ გაოცებასა და მეორეს მხრივ დიდ სიხარულს იწვევდა თვით გერმანიის ფართო წრეებშიც. ერთ-ერთი გერმანელი დიპლომატი რორბახი თავის მოგონებებში წერდა: „ჩვენ ძეგლი უნდა დავიდგათ ტროცკის, რადგანაც მან გერმანიას მისცა შესაძლებლობა, ტერიტორიალური საკითხები გადაჭრას იმგვარად, როგორც ამას თავად მოისურვებს“.[33]

მოლაპარაკებათა შეწყვეტამ, საბჭოთა რუსეთი კვკავ გერმანელთა თავდასხმის საფრთხის წინაშე დააყენა. 13 თებერვალს ჰამბურგში მოწვეული იქნა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის იმპერა-ტორი ვილჰემ II, კანცლერი – გერტლინგი, საგარეო საქმეთა მინისტრი კიულმანი და სამხედრო წრის წარმომადგენლები.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გენერალი ლიუდენდროფი, რომელმაც მოითხოვა, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევა რუსეთზე: „აუცილებელია – განაცხადა მან, ბოლშევიკებს მივაყენოთ სწრაფი და გადამწყვეტი დარტყმა,

---

[30] А. Ахтамзан От Бреста до Киля. Москва.;1963. с. 53. იხ. А. Панцов. Брестский мир. Москва.;1990. с 75

[31] И Минц. დას. ნაშრ. გვ.83.

[32] იქვე;

[33] იქვე;

წინააღმდეგ შემთხვევაში გერმანიის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე მკვეთრად დაეცემა".[34]

ლუდენდროფის წინადადებას მხარი დაუჭირა როგორც კანცლერმა, ასევე სხდომის სხვა მონაწილეებმაც. იმპერატორმაც მოითხოვა დაუყონებლივ საომარი მოქმედებების განახლება.[35]

16 თებერვალს გენერალმა გოფმანმა, საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთ წევრს სამაილოს გადასცა გერმანიის მთავრობის ნოტა, რომლის მიხედვითაც გერმანია საომარი ოპერაციების განახლებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 18 თებერვალს იწყებდა. საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიამ დაარღვია 15 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება „დროებითი ზავის შესახებ" და განსაკუთრებით ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარის შვიდი დღით ადრე გაფრთხილებას.[36]

გამოთქმულ პროტესტთან დაკავშირებით, გერმანიის მხარემ განაცხადა: „რადგანაც მოლაპარაკებები ჩაიშალა, ამიტომ 15 დეკემბრის ხელშეკრულება ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის დაიდო იმ მიზნით, რომ მას უნდა უზრუნველეყო ზავის დადება გერმანიის ბლოკსა და საბჭოთა მთავრობას შორის".[37]

მართლაც, 18 თებერვალს გერმანიამ განაახლა საომარი მოქმედებები აღმოსავლეთის მთელ ფრონტზე. 19 თებერვლისათვის გერმანელებმა დაიპყრეს ქალაქები: დვინსკი, პოლოცკი და მთელი ძალები დაძრეს პეტროგრადის მიმართულებით.[38]

საბჭოთა მთავრობამ შეაფასა რა ფრონტზე შექმნილი მძიმე ვითარება და ისიც რომ, რეალურად არსებობდა პეტროგრადის აღების საფრთხე, 19 თებერვალს გერმანიის მთავრობას გაუგზავნა სამთავრობო ნოტა,

---

[34] И. Минц. დას. ნაშრ. გვ. 84.
[35] А. Чубарьян. დას. ნაშრ. გვ. 165
[36] Д. Куль , Г. Дельбрурк. Крушение Германской наступательной операции 1918 году Москва ,1935. с 20
[37] И Минц. დას. ნაშრ. გვ.84.
[38] В Петров Отражение страной советов нашествия Германского империализма в 1918 году Москва.,1980 с 67-75

რომლითაც საბჭოთა მთავრობამ გამოთქვამდა მზადყოფნა, მიეღო ყველა ის ულტიმატუმი, რომელსაც გერმანიის ბლოკი წაუყენებდა მათ.[39]

გერმანიის მთავრობა კი არ ჩქარობდა პასუხის გაცემას, რადგანაც მათ სურდათ, რომ დროის გაჭიანურებით რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები დაეპყროთ. მხოლოდ 23 თებერვალს წარედგინა საბჭოთა მთავრობას გერმანელთა ულტიმატუმი, რომელიც 10 პუნქტს შეიცავდა.

აღნიშნული ულტიმატუმის მიხედვით, რუსეთს უარი უნდა ეთქვა ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, უნდა დაედო ზავი უკრაინის კონტრ-რევოლუციური რადის წევრებთან, ხოლო მე-5 მუხლის მიხედვით, რუსეთს თურქეთისათვის უნდა დაებრუნებინა ანატოლიის პროვინციები. ასევე, რუსეთს უნდა მოეხდინა არმიის დემობილიზაცია და უნდა აღედგინა 1904 წლის სავაჭრო ხელშეკრულება. აღნიშნულ ულტიმატუმზე, საბჭოთა დელეგაციას 48 საათის განმავლობაში უნდა გაეცა პასუხი და მიეელინებინა ბრესტში დელეგაცია, რათა საბოლოოდ მოეწერათ ხელი სამშვიდობო ზავზე.[40]

იმავე დღეს მოწვეულ იქნა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მიიღო დადგენილება ულტიმატუმის მიღების შესახებ. ლენინმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ომის წარმოებისათვის საჭიროა არმია, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ჩვენ დაგვრჩენია ერთადერთი გამოსავალი – მივიღოთ ულტიმატუმი.[41]

24 თებერვალს განისაზღვრა საბჭოთა დელეგაციის ახალი შემადგენლობა. მასში შევიდნენ: სოკოლნიკოვი (თავმჯდომარე), პეროვსკი, ჩიჩერინი, კარახანი და იოფე. დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში ჩავიდა 28 თებერვალს, ხოლო სამშვიდობო კონფერენციამ თავისი მუშაობა განაახლა 1 მარტს. პირველსავე სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ

---

[39] Документы внешней политики СССР. Т 1, с 106
[40] იქვე;
[41] А. Чубарьян. დას. ნაშრ. გვ.171.

„ისინი მზად იყვნენ ყოველგვარი განსჯა-განხილვის გარეშე ხელი მოეწერათ ზავზე“.[42]

1918 წლის 3 მარტს ბრეტს-ლიტოვსკში ხელი მოეწერა ზავს, ერთის მხრივ საბჭოთა მთავრობასა და მეორეს მხრივ გერმანია, ავსტრია-უნგრეთ, ბულგარეთსა და თურქეთს შორის.[43]

ძირითადი ხელშეკრულება შეიცავდა 14 მუხლს.[44] განსაკუთრებით დამამძიმებელი იყო მე-3 და მე-4 მუხლები, რომლებიც შეეხებოდა ტერიტორიულ საკითხებს. აღნიშნული მუხლების მიხედვით რუსეთი კარგავდა შემდეგ ტერიტორიებს: კურლანდიას, ლიტვას, პოლონეთს, ლიფლანდიას, ბელორუსიასა და ესტონეთის მნიშვნელოვან ნაწილს. ასევე მე-3 მუხლის მიხედვით, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო აღნიშნული ოლქების საქმეებში და მათი მომავალი სახელმწიფოებრივი სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან უშუალო მოლაპარაკებათა გზით.[45]

აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, კი რუსეთს თურქეთისათვის უნდა დაებრუნებინა ანატოლიის აღმოსავლეთი ტერიტორიები და უმოკლეს ვადაში უნდა მოეხდინა საჯარისო ფორმირებების გაყვანა – არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებიდან. გარდა ამისა, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო აღნიშნული ოლქების სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებლივ ურთიერთობებში და უნდა მიცემოდა მოსახლეობას უფლება, საკუთარი სურვილის მიხედვით შეექმნა ახალი წყობილება, რომელიც შეერწყმოდა მეზობელ სახელმწიფოთა ინტერესებს, განსაკუთრებით კი თურქეთისას.[46]

იმავე დღეს გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულებები რუსეთ-გერმანიას, რუსეთ-ბულგარეთს, რუსეთ-ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთ-თურქეთს შორის.[47]

---

[42] Э. Людендроф დას. ნაშრ. გვ. 134.
[43] ნ. ზოსიძე პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ. ბათუმი.;1995. გვ.19.
[44] Документы внешней политики СССР Т 1, с 119-124
[45] იქვე; გვ.121
[46] იქვე; გვ.122-124
[47] А. Чубарьян, დას. ნაშრ. გვ.189.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა რუსეთ-თურქეთის დამატებითი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ბოლშევიკური რუსეთი ვალდებულებას ღებულობდა დაუყოვნებლივ გაეყვანა თავისი ჯარები მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ანუ თურქეთის პროვინციებიდან. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, რუსეთს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შეეძლო ჰყოლოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი დივიზია და არანაირად მეტი.[48]

ასევე საინტერესოა აღნიშნული შეთანხმების მე-2 მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 3 თვის შემდეგ უნდა შეიქმნას ორი კომისია. პირველის ამოცანაა საზღვრების დადგენა რუსეთ-თურქეთს შორის, სადაც სასაზღვრო ხაზი გადის ყარსი, არტაანი, ბათუმის სანჯაყზე, ხოლო მეორე კომისიას დაევალოს, დაადგინოს საზღვრები იმ სამ სანჯაყსა და რუსეთს შორის, რომელიც აღიბეჭდა ბრესტის ზავის მე-4 მუხლით".[49]

ეს კი ნიშნავდა იმას, რომ რუსეთ-თურქეთის საზღვრები უნდა აღდგენილიყო იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე.

ბრესტ-ლიტოვსკის 3 მარტის ხელშეკრულების მიხედვით, ორივე მხარე ვალდებული იყო მოეხდინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია ორი კვირის განმავლობაში. თუკი რუსეთი არ მოახდენდა 3 მარტის ხელშეკრულების რატიფიკაციას დადგენილ ვადებში, ასეთ შემთხვევაში გერმანიის აგრესიის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, ბოლშევიკურ რუსეთს სხვა გზა აღარ ჰქონდა და 1918 წლის 15 მარტს, სრულიად რუსეთის საბჭოების მე-4 ყრილობამ, აღნიშნულ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.[50]

ამრიგად, ისარგებლეს რა გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა იმითი, რომ ბოლშევიკური რუსეთი ყველასაგან იზოლირებული და გარიყული

---

[48] Документы внешней политики. Т.1 , с. 199-200.
[49] იქვე; გვ.200-201.
[50] ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული); გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ნ. ზოსიძემ. ბათუმი;1995. გვ.18

აღმოჩნდა, მას თავს მოახვიეს უმძიმესი და შეიძლება ითქვას კაბალური პირობები. ამ ხელშეკრულების გარკვეული სიმძიმე შეეხო უშუალოდ საქართველოსაც, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, მას უნდა ჩამორთმეოდა თავისი ისტორიული კუთხეები - არტაანისა და ბათუმის ოლქები.



ბრესტის ზავი და კავკასიის განაწილება

. პოლიტიკური ვითარება საქართველოში ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917-1918 წწ.)

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში. იმპერიის მსხვრევამ არარუს ერებს თვითგამორკვევისა და ადრინდელი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის რეალური შესაძლებლობის იმედი ჩაუსახა.

თებერვლის რევოლუციამ დაამსხვრია რა რომანოვთა სამასწლოვანი სამეფო ტახტი, საფუძველი შეურყია რუსეთის იმპერიულ მთლიანობასაც. იმპერიის კარი ერთბაშად გაიხსნა და იმპერიის ჩარგულ ერებს თვითგამორკვევის რეალური შესაძლებლობა გაუჩნდათ. ამ გარემოებამ საქართველოსთვისაც დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ხელსაყრელი პირობები შექმნა, თუმცა, ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა ერთბაშად არ მომხდარა. მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხარეო მმართველობა, შემდეგ კი ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება.[1]

1917 წლის დასაწყისისათვის მსოფლიო ომის დაწყებიდან 30 თვის შემდეგ რუსეთი უკვე განიცდიდა ღრმა კრიზისს, რაც საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის შეუსაბამობით იყო გამოწვეული. ომის დროს რუსეთმა დაკარგა თავისი სიმდიდრის 60%, მაშინ როცა ინგლისის დანაკარგი შეადგენდა–15%-ს, საფრანგეთისა–31%-ს, გერმანიისა–33%-ს და ა.შ. 1917 წლის დასაწყისიდან ფართო მასების

[1] ო. ჯანელიძე. 26 მაისიდან 25 თებერვალამდე. თბილისი.;1990. გვ.6.

პოლიტიკური აქტივობა ისე გაიზარდა, რომ დღის წესრიგში დადგა მეფის მთავრობასთან იარაღით ანგარიშსწორების საკითხი.[2]

1917 წლის იანვარში რუსეთის დედაქალაქში დაწყებული მღელვარებანი, თებერვალში მძლავრ მანიფესტაციაში გადაიზარდა. თვის ბოლოს კი აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 27 თებერვალს ქალაქში მეფის ხელისუფლების დამხობა გამოცხადდა. მთელი ძალაუფლება გადავიდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში, რომელსაც დაევალა დროებითი მთავრობის ფორმირება.[3]

2 მარტს პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა გ. ლვოვის თავმჯდომარეობით. მასში შევიდნენ ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები - პ. მილიუკოვი, ა. გუჩკოვი, ა. კოვალოვი და ესერი ა. კერენსკი. ფაქტიურად ეს იყო „ბურჟუაზიისა და გაბურჟუებულ მემამულეთა" მთავრობა, რომელიც მართალია დასაწყისიდანვე შეუდგა ქვეყანაში ზოგიერთი დემოკრატიული რეფორმების გატარებას, მაგრამ მოგვიანებით ქვეყნისათვის აუცილებელი, სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტა გარკვეული დროით გვერდზე გადადო და დაიწყო ძალების მოკრება რევოლუციის მთავარი მონაპოვარის – ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცებისათვის.[4]

თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში საქართველო ქარიშხლის მომლოდინეს ჰგავდა. ომისაგან განაწამები მასების დრტვინვა, სახალხო მოძრაობის ტალღად აზვირთებას იწყებდა. სწორედ ასეთ ვითარებაში ეუწყა კავკასიის ადმინისტრაციას საიდუმლოდ, თვითმპყრობელობის დამხობის ამბავი. მაგრამ მეფის ნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ყველა ზომას იღებდა იმისათვის, რომ ეს ცნობა ხალხში არ გავრცელებულიყო.

სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის თბილისის კომიტეტს, პეტროგრადში მომხდარი რევოლუციის შესახებ დეპეშით ადრევე აცნობეს,[5]

---

[2] ა. სურგულაძე. ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1917-1921 წწ. თბილისი.;1954. გვ.34-35.

[3] მ. ჯიჯეიშვილი. მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917-1921) წწ. თბილისი.;1965. გვ.111.

[4] И. Минц История великого октября Т 1, Москва.;1967. с 531-535

[5] მხედველობაში გვაქვს კონსპირაციული დეპეშა – „მთავრობა გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებსა და ნაცნობებსო

მაგრამ მათ რატომღაც დუმილი ამჯობინეს. მენშევიკების გაზეთი „თანამედროვე აზრი“, პეტროგრადში მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ 4 მარტის ნომრით გამოეხმაურა და რევოლუციაზე უფრო გაბედულად ალაპარაკდა.

4 მარტს თბილისის სახალხო სახლში შეიკრიბა მუშათა წარმომადგენლობა, სადაც აირჩიეს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო – ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. განხორციელდა ქალაქის მმართველობის არჩევნებიც, რის შედეგადაც ახალ თვითმმართველობას სათავეში ჩაუდგნენ ნოე ჟორდანია, ქალაქის თავი ხატისოვი და რუსი ოფიცერი პოპოვი.[6] ამგვარად, საქართველში ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია.

4 მარტს მეფისნაცვლის სასახლეში ჩატარდა თბილისის საზოგადოების თათბირი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლები, ქ. თბილისის თავი ხატისოვი და მენშევიკური პარტიის ლიდერები: ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი.[7]

მეფისნაცვალმა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მათთან საუბარში აღნიშნა: „ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ საერთო მტრის წინააღმდეგ. ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძენებელი კრება გადაწყვეტს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგანაც აქ არავითარი არეულობა არ არის. ეს ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ეს კვლავაც ასე გაგრძელდება.“[8]

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, 9 მარტის დადგენილებით ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა სპეციალური ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიც შევიდნენ მე-4 სათათბიროს დეპუტატები - ბ. ხარლამოვი (თავმჯდომარე) მ.

---

[6] ა.სურგულაძე, პ.სურგულაძე. საქართველოს ისტორია 1783-1990 წწ. თბილისი1991. გვ.177
[7] გაზ. „თანამედროვე აზრი“. №52; 1917
[8] გაზ „თანამედროვე აზრი“. №52; 1917

პაპაჯანოვი, მუსავატი, ნ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო შეცვალა მენშევიკური პარტიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა – აკაკი ჩხენკელმა.[9]

ოზაკომი თბილისში ჩამოსვლამდე (18 მარტი), ამიერკავკასიას ფაქტობრივად მართავდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელშიც წამყვან როლს ქართველი სოციალ-დემოკრატები ასრულებდნენ. მათ მისაღებად ჩათვალეს პეტროგრადიდან გამოგზავნილი ახალი სამხარეო ხელისუფლება. თუმცა, თავდაპირველად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები, პრესის მეშვეობით აკრიტიკებდნენ ახალ სამხარეო ადმინისტრაციას, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მისი შემადგენლობა თავისი უმრავლესობით და პრაქტიკული საქმიანობით ვერ იქნებოდა კავკასიის დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველი.[10]

ოზაკომი თავიდანვე მტკიცედ შეუდგა თავისი მაღალი რწმუნების დაცვას. კერძოდ, ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის პირველ ყრილობაზე, პაპაჯანოვმა მოითხოვა, რომ ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია და მათ შორის საბჭოებიც, ოზაკომს დამორჩილებოდნენ, მაგრამ ამიერკავკასიის საბჭოები, მათ შორის თბილისის საბჭოც, სულაც არ ფიქრობდნენ ოზაკომისადმი მთელი ხელისუფლების დათმობას. ეს პოზიცია გარკვეეით დააფიქსირა, ამიერკავკასიის მუშათა დაპუტატების საბჭოების ყრილობამაც, რომელიც (18-21მარტს) თბილისში ჩატარდა. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „მიეცეს წინადადება დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრებს, რომ მმართველობის ყველა სფეროში შეთანხმებულად იმოქმედონ საგუბერნიო და ქალაქთა აღმასრულებელ კომიტეტებსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად."[11]

ამგვარად, რუსეთის მსგავსად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა ამიერკავკასიაშიც, და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ორხელისუფლებიანობა ამიერკავკასიაში შენარჩუნებული იქნა 1917 წლის 4

---

[9] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.6, თბილისი.;1972. გვ.416.
[10] ვ. გურული., მ. ვაჩნაძე. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია. თბილისი.;1999. გვ.283-284.
[11] გაზ. „ერთობა". №6; 1917.

ივლისის პეტროგრადის ცნობილი მოვლენების შემდეგაც, როდესაც რუსეთის დროებითმა მთავრობამ გარეკა საბჭოები და ამით ბოლო მოუღო ორხელისუფლებიანობას.[12]

თვითმპყრობელობის რეჟიმის დაცემა, ყველაზე კარგად ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა და მაშინვე დაიწყო ავტოკეფალიის განხორციელება, რაც 1917 წლის 12 მარტს დაგვირგვინდა კიდეც ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებით, რომელიც თავის მხრივ პირველი ნაბიჯი იყო, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში.[13]

რუსეთის დროებითი მთავრობა ყოფილი კოლონიებისადმი სრული დამოუკიდებლობის მიცემას სრულებითაც არ აპირებდა, რაც თვალ-ნათლივ გამოვლინდა ფინეთისა და უკრაინის მაგალითებზეც. კერძოდ, როდესაც ფინეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, დროებითმა მთავრობამ ძალის გამოყენებისა და მუქარის ძალით, სეიმი დაითხოვა და მას რუსეთის შემადგენლობაში მხოლოდ ტერიტორიული ავტონომიის უფლება მიანიჭა,[14] ხოლო როდესაც უკრაინის რადამ დროებითი მთავრობის დაუკითხავად ფართო ავტონომია გამოაცხადა, რუსეთის მთავრობამ უკრაინის რადას უფლებამოსილება შეუკვეცა და ზედამხედველობის წესით განსაკუთრე-ბული კომისარი დაუნიშნა.[15]

აღნიშნული ფაქტების ფონზე, საესებით გასაგები და გამართლებული იყო ქართველ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) ის ფრთხილი პოლიტიკა, რომელიც ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას შეეხებოდა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალ-ეკონომიკური ფონი, პირველ რიგში წინა პლანზე აყენებდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობას. ამ მხრივ პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო - „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს“ შექმნა, რომელიც

---

[12] Н Струа Грузия в 1917 году Тбилиси.;1964. с 78-85
[13] ა. სურგულაძე ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბილისი.;1991. გვ.10.
[14] გაზ. „ერთობა“. №118. 1917.
[15] შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან 1917-1918 წწ. თბილისი.;1999. გვ.49.

ფაქტიურად ეროვნული ხელისუფლების ჩანასახი იყო საქართველოში. ეს იყო სინამდვილეში პირველი პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება, რომლის წევრები საჯაროდ და საქვეყნოდ მსჯელობდნენ საქართველოს მომავალზე და მის პოლიტიკურ ბედზე.

ინტერპარტიული საბჭოს პირველ სხდომაზე, ზოგადად იქნა დადასტურებული საქართველოს ტერიტორიული საზღვრები, რომლებიც ორ ნაწილად იქნა დაყოფილი: უდაო და სადაო ტერიტორიები. უდაო ტერიტორიად მიჩნეული იქნა ის ტერიტორია, სადაც ქართველობა უმრავლესობას შეადგენდა, ხოლო რაც შეეხება სადაო ტერიტორიებს - პერიფერიებს, განაპირა რაიონებს, სადაც უმრავლესობას ქართველობა არ შეადგენდა, საკითხის მოგვარება რეფერენდუმის გზით უნდა მომხდარიყო.[16]

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრლის, რომელსაც დაესწრნენ ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები. კრებას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. განსახილველ საკითხს შეადგენდა – ეროვნული სეიმის ფუნქციებისა და კომპეტენციის განსაზღვრა. გარდა ამისა განხილული იქნა ისეთი საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საქართველოს ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციისა და ამიერკავკასია რუსეთს შორის შემდგომი ურთიერთობების საკითხები.[17]

ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დაარსება. 1917 წლის 12 აგვისტოს მოწვეული იქნა, ქართველი ერის ინტერპარტიული საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება, რომელმაც თავის მხრივ განსაზღვრა ბიუროს უფლებამოსილება და ფუნქციები.

თვით ფაქტი ქართული ეროვნული ინტერპარტიული ბიუროს შექმნისა, მართლაც რომ მნიშვნელოვანი იყო, რამეთუ მას გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა, ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების გაღვივებისა და

---

[16] სცსსა; ფ.1836; აღ1; საქ.6; ფურც.2-3
[17] იქვე; ფურც 4-8

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. დიდი სურვილის მიუხედავად, აღნიშნულმა ბიურომ რიგი ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლო ყოველივე მიზნად დასახულის პრაქტიკულად განხორციელება. თუ რატომ? – ამაზეც ცალსახად შეგვიძლია გავცეთ პასუხი: ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ პარტიათა ერთიანი პლატფორმის არარსებობის პირობებში, როცა დიამეტრულად განსხვავდებოდა პოლიტიკურ პარტიათა შეხედულებანი ქვეყნის მომავალ პოლიტიკურ ბედთან დაკავშირებით, ასეთ ვითარებაში მართლაც რომ შეუძლებელი იყო ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ცხოვრებაში რეალიზება.

ვინაიდან საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობითი გაერთიანება იყო და იგი ქართველი ერის მიერ არ ყოფილა არჩეული, ამიტომ იურიდიულად მას არ ჰქონდა უფლება ხალხის სახელით გამოსულიყო. ამიტომაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ისეთი უფლებამოსილი ორგანოს შექმნა, რომელიც ქართველი ერის სახელით ილაპარაკებდა და იმოქმედებდა. სწორედ ასე ჩაისახა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის იდეა.[18]

საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის პროგრესს ბიძგი მისცა 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა კონტრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ, რამაც კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთთან სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ინტერესები სულ ცოტა ორი უმთავრესი ფაქტორის გამო: 1) ამიერკავკასიაში მოქმედმა არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, გარდა ბოლშევიკებისა, არ ცნო ოქტომბრის გადატრიალების კანონზომიერება და მას ზურგი შეაქცია და 2) თვით ოქტომბრის ე.წ. „სოციალისტურმა რევოლუციამ", მის პირველსავე დეკლარაციაში ცალსახად აღიარა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ეროვნული თვითგამორკვევის მიზანშეწონილობა და სოციალისტური

---

[18] ა.სილაგაძე, ვ.გურული. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1917 თბილისი.;1998. გვ.23-24

სისტემის მთავარ პირობად – იმპერიაში შემავალ ერთა თანასწორობა და სუვერენიტეტი გამოაცხადა.[19]

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები მტრულად შეხვდნენ ოქტომბრის კონტრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებას. 26 ოქტომბერს, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, მენშევიკური პარტიის ლიდერებმა დაგმეს პეტროგრადში მომხდარი გადატრიალება. მათი აზრით, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღება გამოიწვევდა დემოკრატიული პროცესების შეფერხებას.[20]

ოქტომბრის კონტრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიის პოლიტიკური ძალების ინტერესები მკვეთრად დაუახლოვდა ანტანტის ინტერესებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ, ამიერკავკასიაში რუსეთისაგან დამოუკიდებელი მთავრობის შექმნით. სწორედ ამ ფაქტის დამადასტურებელია ა.შ.შ-ბის კონსულის სმიტის დეპეშა, გაგზავნილი სახელმწიფო მდივნისადმი: „შაბათს მე დავესწრები სხდომას, სადაც ჩამოყალიბდება ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც გაერთიანდება სამხრეთ აღმოსავლეთ ფედერაციაში და უარს იტყვის დაზავებასა და სეპარატისტულ ზავზე. აუცილებელია გავუწიოთ მათ ფინანსური დახმარება. ამ დახმარებას ითხოვენ, როგორც დროებითი მთავრობის წარმოადგენლები, ისე არმიის სარდალი“[21]

ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ამიერკავკასიის მმართველობის ორგანომ ოზაკომაც ფაქტობრივად დაკარგა თავისი ფუნქციები. ასეთ ვითარებაში 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში, ამიერკავკასიის დემოკრატიულ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სამხარეო ცენტრების ინიციატივით შედგა თათბირი, რომელმაც

---

[19] პ. სურგულაძე. დას. ნაშრ. გვ.12.
[20] ბ. გუბელიძე. ქართული მენშევიზმის კრახი. თბილისი.;1978. გვ.56-57.
[21] ნ. ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918 1920 წწ. ბათუმი.;1995. გვ.14.

მიზანშეწონილად ცნო შექმნილიყო ადგილობრივი მთავრობა, ვიდრე რუსეთში ანარქია არ აღიკვეთებოდა.[22]

რამდენადაც ჩრდილოეთიდან მოახლოებული საფრთხე რეალური იყო, ამიტომ 1917 წლის 15 ნოემბერს, სოციალ-დემოკრატების (მენშევიკები), დაშნაკ-ციუტუნის, მუსავატის, სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა პარტიების კოალიციის პრონციპზე, ჩამოყალიბდა ახალი სამხარეო მთავრობა – „ამიერკავკასიის კომისარიატი", რომლის თავმჯდომარედაც არჩეული იქნა ევგენი გეგეჭკორი.[23]

ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში, აუცილებელი გახდა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა და არჩევნების საფუძველზე იურიდიულად ყოველმხრივ უფლებამოსილი ორგანოს შექმნა. ინტერპარტიული საბჭოს 1917 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე, ზოგადად განისაზღვრა ეროვნული ყრილობის ფუნქციები და ამოცანები: „ეროვნულმა ყრილობამ, ვკითხულობთ დადგენილებაში – უნდა შეადგინოს დროებითი ეროვნული საბჭო, რომელიც მანამდე იარსებებს, სანამ დამფუძნებელი კრებისათვის ქართველი დეპუტატები იქნება არჩეული, ხოლო ეს დროებითი საბჭო თავის უფლებებს გადასცემს იმ ახლად არჩეულ ორგანოს, რომელიც შესდგება საქართველოს ტერიტორიაზე არჩეული ქართველ დეპუტატთაგან იმ პროპორციით, რომელიც გადაწყვეტილი იქნება ეროვნული საბჭოს დეპუტატების მიერ."[24]

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში, ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბიროს ხმით. ყრილობას დაესწრო საქართველოს კათალიკოსი კირიონ II, უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლობა, მთავრობის წევრები, არმიის მთავარსარდალი და სხვები.[25]

---

[22] გაზ. „ერთობა." №196; 1917.
[23] გაზ. „ერთობა" №200; 1917
[24] შ. ვადაჭკორია. ქარტული სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან 1917-1918 წწ. თბილისი;1999 გვ54
[25] გ. ურატაძე საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წწ. პარიზი.;1939 გვ89-90.

ეროვნულმა ყრილობამ, პოლიტიკური მომენტის გათვალისწინებით, კონკრეტულად დააყენა საკითხი საქართველოს ეროვნული საბჭოს არჩევისა. იგი პრაქტიკულად ყრილობის 22 ნოემბრის სხდომამ გადაწ-ყვიტა, რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია.[26] რამდენადაც ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის გაძღოლის ინიციატივა თავის თავზე აიღო, ამ ნაბიჯით იგი ფაქტობრივად ეროვნული მთავრობის ფუნქციის შემსრულებლის როლში მოგვევლინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საბჭოს არჩევით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მტკიცე საფუძველი შემზადდა, პრორუსული ორიენტაციისადმი ზურგშექცევის საკითხი ოფიციალურად არ დასმულა. იმ დროს საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების გარკვეული ნაწილი პროდასავლური ორიენტაციისა იყო და ქვეყნის ხსნას დასავლეთის სახელმწიფოთა დახმარებაში ხედავდა. თუმცა მათ იმედები მალე გაუცრუვდათ, რადგანაც დასავლეთის სახელმწიფოებმა ამიერკავკასიასთან მიმართებაში სულ სხვა პოზიცია დაიჭირეს.

კერძოდ, 1917 წლის 8 დეკემბერს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის ფართო წარმომადგენლობა, ეროვნული საბჭოს წევრებს განუცხადეს: „ჩვენ ვიცნობთ ერთ მთლიან რუსეთს და მის დროებით მთავრობას. ცალკე ერებს კი, როგორც რუსეთის ნაწილებს, მითუმეტეს რომ არც ქართველებს და არც სომხებს არ გვყავთ საკუთარი ეროვნული მთავრობანი. ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვცანით მთავრობად და ურთიერთობაც გვაქვს მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუერთდეს სამხერთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც, რის შედეგადაც რუსეთი აღდგება ფედერაციული ერთეულის სახით.“[27]

დასავლეთის ქვეყნების ასეთი პოზიცია იმის დამადასტურებელი იყო, რომ იმ ეტაპზე ევროპის სახელმწიფოთა ძირითად ამოცანას,

---

[26] შ. ვადაჭკორია. პოლიტიკური პარტიები და პირველი ეროვნული ყრილობა. თბილისი.;1998. გვ.27
[27] სცსსა; ფ.1836; აღ.1; საქ2; ფურც.14.

დემოკრატიული რუსეთის აღდგენა წარმოადგენდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ ცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილ პატარ-პატარა სახელმწიფოებს და მათ შორის რა თქმა უნდა ამიერკავკასის კომისარიატსაც, რადგანაც ამ რეგიონს ისინი ერთიანი რუსეთის სივრცის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო მათი იდეური გეგმის წინააღმდეგ წავიდოდა და დამოუკიდებლობის გზას დაადგებოდა, ასეთ შემთხვევაში მას ევროპის სახელმწიფოებისაგან არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

თუმცა ამიერკავკასიელ პოლიტიკოსებს ეს საკითხი მაინცდამაინც არ აღელვებდათ, რადგანაც მთელი ყურადღება დამფუძნებელი კრების მოწვევისადმი ჰქონდათ გადატანილი და მომავალი გამარჯვების მოლოდინში თავს არხეინად გრძნობდნენ, მაგრამ 1917 წლის დამლევს ქვეყანაში მომხდარმა რიგმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა აიძულა ისინი ცოტათი გამოფხიზლებულიყვნენ და უფრო აქტიურნი გამხდარიყვნენ. იზოლაციაში მოქცეულმა რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ, ჩიხიდან გამოსვლის მიზნით, ძირითად ამოცანად დაისახა, პირველ მსოფლიო ომიდან სასწრაფოდ გამოსვლა და მთელი ძალების მობილიზაცია ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ამ მიზნით ბრესტ-ლიტოვსკში 15 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ გერმანიის ბლოკთან მოაწერა ხელი დროებით შეთანხმებას, საომარი ოპერაციების დროებით შეწყვეტის შესახებ.

გერმანიის მოკავშირე თურქეთის მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის ფრონტზე განვითარებული მოვლენების (1915-1916 წლებში ფრონტზე განცდილი მარცხი – ა.ვ.) გამო, უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა, სურდა საომარი ოპარეციების შეწყვეტა ამიერკავკასიის ფრონტზეც. ამ მიზნით, ნოემბერში თურქეთის მესამე არმიის სარდალმა ფერიკ-ვეხიბ ფაშამ, თურქეთის მთავრობის დავალებით წერილობით მიმართა ამიერკავკასიის

არმიის სარდალს, გენერალ ოდიშელიძეს, რათა დაეწყოთ მოლაპარაკებანი დროებითი ზავის საკითხებზე.[28]

აღნიშნული საკითხი 21 ნოემბერს განიხილეს ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე. ამიერკავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა სხდომის წევრებს გააცნო ფრონტზე შექმნილი მძიმე ვითარება და იშუამდგომლა, რათა მხარი დაეჭირათ თურქეთის მთავარსარდლის წინადადებაზე. ამიერკავკასიის კომისარიატმა, შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნულ წინადადებაზე მხარდაჭერა და ფრონტის მთავარსარდლობას მიეცა უფლება, ეწარმოებინა მოლაპარაკებანი თურქეთის მთავრობასთან.[29]

შეიქმნა დროებითი საზავო პირობების შემმუშავებელი ერთობლივი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: ამიერკავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვიშინსკი (თავმჯდომარე), ამიერკავკასიის შტაბის ოფიცერი ვერდინსკი, არმიის ჯარისკაცი სმირნოვი და პრივატ-დოცენტი ე. თევზაია.[30] ეს უკანასკნელი როგორც ჩანს ნოე ჟორდანიას რეკომენდაციით შეიყვანეს დელეგაციის შემადგენლობაში, როგორც სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი.[31]

1917 წლის 2(15) დეკემბერს ქალაქ ერზინჯანში მუშაობა დაიწყო კონფერენციამ, ამიერკავკასიის ფრონტზე საომარი ოპერაციების შეწყვეტასა და დროებით დაზავებაზე. პირველსავე სხდომაზე დიდი . დისკუსია გამოიწვია საკითხმა – თუ რამდენი ხნით უნდა დადებულიყო ზავი. ამიერკავკასიის დელეგაცია მოითხოვდა უვადო ზავის დადებას, ე.ი. მანამ, სანამ საბოლოოდ არ გაფორმდებოდა ორივე მხარის მიერ სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება. თურქეთის დელეგაციას სულ სხვა პოზიცია

---

[28] Документы и материалы по внешней политике Закавказья иГрузии. Тифлис.1919. с.11.
[29] А Абашидзе. "Аджария"; Москва ;1998. с.125.
[30] Документы внешней политики СССР. Т.1, Москва ;1957 с 56
[31] მ. სვანიძე. 1917 წლის 18 დეკემბრის ერზინჯანის დროებითი შეთანხმება. ქართული დიპლომატია; წელიეწდეული №4; თბ.;1997. გვ.177.

გააჩნდა ამ საკითხთან მიმართებაში. ამიტომაც იყო რომ ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში იმ დღეს რაიმე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.[32]

კონფერენციის მეორე დღეს, თურქეთის დელეგაციამ ხელშეკრულების პროექტში ამიერკავკასიასთან მიმართებაში, საკითხის ასეთი ფორმულირებით ჩაწერა მოითხოვა: „თუ ბრესტში დაიდებოდა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს შორის, ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების ყველა მუხლი სავალდებულო და მისაღები უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის კომისარიატისათვისაც. ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა საკითხის ამდაგვარი კუთხით დაყენება და მათ თურქეთის მხარეს განუცხადეს: „ვინაიდან ჩვენ არ ვიცით შინაარსი იმ ხელშეკრულებისა და არც ის ვიცით თუ რა პირობებში მოხდება ამ ხელშეკრულების შემუშავება, ამიტომ ჩვენ ბრმად არ შეგვიძლია თანხმობა განვაცხადოთ ამ საკითხის ასეთი ფორმით მიღებაზე."[33]

მიუხედავად ამიერკავკასიის ასეთი მკვეთრი განცხადებებისა და პრინციპულობისა, დელეგაციას მაინც მოუხდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რადგანაც თვლიდა რომ დროებითი ზავის გაფორმების შემთხვევაში, თავიდან აიცილებდა იმ აგრესიას, რომელსაც ეწეოდა თურქეთი ამიერკავკასიის ხალხების მიმართ.

გენერალი ოდიშელიძე საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს ვიშინსკის ერზინჯანში უდეპეშებდა: „მდგომარეობა იმდენად კატასტროფულია, რომ ძვირფასია ყოველი საათი. განუმარტეთ დელეგაციის წევრებს, რომ საჭიროა ზედმეტი ლაპარაკისა და ზედმეტი ცერემონიების გარეშე, სასწრაფოდ მოხდეს დაზავება. წინააღმდეგ სემთხვევაში თურქეთის რწმუნებულებს შეუძლიათ მოწმენი გახდნენ პირველი კორპუსის კატასტროფული რღვევისა."[34]

---

[32] გაზ. „ერთობა." №225, 1917
[33] იქვე;
[34] საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ 6, გვ 547.

ამიტომაც დელეგაციამ იჩქარა და 1917 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ერზინჯანში ხელი მოაწერა ზავს, ფართო საზავო მოლაპარაკებების დაწყებამდე, საომარი მოქმედებების დროებითი შეწყვეტის შესახებ.[35]

აღნიშნული ხელშეკრულების მე-12 მუხლი ითვალისწინებდა შემდეგს: „თუ ბრესტ-ლიტოვსკში მოხდებოდა სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიის მოკავშირეებს შორის, ამ ზავის ყველა პუნქტი მისაღები უნდა ყოფილიყო კავკასიის ფრონტისათვისაც."[36]

ამიერკავკასიის დელეგაციის წევრი ვ. თევზაია ასეთ შეფასებას აძლევდა ერზინჯანის ხელშეკრულებას: „თურქეთის წარმომადგენლებსა და ჩვენს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კავკასიის ფრონტზე და შავ ზღვაზე სამხედრო მოქმედებები შეწყვეტილია საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე. ჩვენი ღრმა რწმენით კავკასიის საზღვრებში ომს ბოლო მოეღო და თანდათან გადავდივართ მშვიდობიანობის ხანაზე."[37]

აფასებდა რა ის თურქეთის არმიის შესაძლებლობებს, იქვე დასძენდა: „სხვისი კუთხის დაპყრობას ძალა სჭირდებოდა, რაც თურქეთს ნაკლებად მოეპოვება და ამიტომ სასწაული იქნება, რომ თურქეთის ჯარმა დაიწყოს ახალი შეტევა ჩვენს ფრონტზე. ამასთან თურქეთის მმართველ წრეებს მხოლოდ ოცნებაში შეუძლიათ იფიქრონ იმაზე, რომ შეიძინონ ახალი ტერიტორიები."[38]

ჩვენთვის უცნობია თუ რაზე დაყრდნობით აკეთებდა ვ. თევზაია ასეთ ოპტიმისტურ განცხადებებს, მაგრამ ერთი რამ კი უდაოა, მე-12 მუხლის ასეთი ფორმულირებით მიღება ამიერკავკასიის დელეგაციის მხრიდან იყო დიდი შეცდომა, რამეთუ შემდგომში ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონისა და ბათუმის საზავო კონფერენციებზე მიღებულმა პოლიტიკურმა გადაწყვეტილებებმა საფრთხე შეუქმნა არამარტო ამიერკავკასიის ერთიანობას, არამედ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც.

---

[35] სცსსა; ფ.1836; აღ.1; საქ.131; ფურც.2.
[36] იქვე;
[37] გაზ. „დროება." № 219; 1917.

თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია ერზინჯანის დროებით შეთანხმებას, თურქი დიპლომატების დიდ წარმატებად მიიჩნევს და მათთვის დამახასიათებელი ფაქტების გაყალბებისა და არასწორედ წარმოჩენის გზით ცდილობს, რიგი მნიშვნელოვანი საკითხების მათთვის სასურველი კუთხით წარმოჩენას. კერძოდ, თურქი ისტორიკოსი ენვერ ქონუქჩუ თავის ნაშრომში წერს: „ერზინჯანის დროებითი ზავის მიხედვით, რუსებს ძველ საზღვრებში უნდა დაეხიათ (მხედველობაში აქვს 1877-1878 წწ. ომამდე არსებული საზღვრები – ა.ვ.) და განთავისუფლებული ტერიტორიები თურქეთს უნდა დაეკავებინაო."[39]

ერზინჯანის შეთანხმების შემდეგ ფაქტიურად ამიერკავკასიის ფრონტი დაიშალა და ჯარისკაცებმა თვითნებურად დაიწყეს ფრონტის მიტოვება და სამშობლოში დაბრუნება. ბოლშევიკები შეეცადენ ამ ფაქტის მათ სასარგებლოთ გამოყენებას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სწორედ ამ ჯარისკაცების დახმარებით ცდილობდნენ ისინი ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ქალაქების ხელში ჩაგდებას.[40]

1918 წლის 9 იანვარს, ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მოქცეულმა დე-მორალიზებულმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი მიატოვეს და თბილისისაკენ დაიძრნენ. ისინი მოითხოვდნენ თბილისიდან რკინიგზის გავლით შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ გატარებას. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ დროზე ამოიცნო, სინამდვილეში თუ რა იმალებოდა ყოველივე ამის უკან და ეშელონი თბილიში არ შეუშვა. მართალია ამ ოპერაციის ჩატარებას გარკვეული მსხვერპლი მაინც მოჰყვა, მაგრამ სამაგიეროდ თავიდან იქნა აცილებული სამოქალაქო ომი. ახლად შექმნილმა ქართული სახალხო გვარდიის ნაწილებმა სადგურ შამქორთან გაანიარაღეს ხუთი ეშელონი ჯარისკაცი და ჩამოართვეს სხვადასხვა სახის საბრძოლო აღჭურვილობანი.[41]

---

[39] ე. ქონუქჩუ. აღმოსავლეთ ანატოლიის უახლოესი ისტორია. Kars-ArhlTsikhe (Ahiska) uluslararasi Tarih sempozyumu bildirileri. Kars-2001. s.61.
[40] სცსსა; ფ.1836; აღ.1; საქ32; ფურც.152-153.
[41] საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ.6, გვ.550.

შამქორთან დაკავშირებულმა პროვოკაციამ გამოაშკარავა საბჭოთა რუსეთის ბოროტი ზრახვები საქართველოსა და საერთოდ მთელი ამიერკავკასიის მიმართ. ახალი რეალობისა და უკანასკნელი მოვლენების სწორი ანალიზის ფონზე, ამიერკავკაციის კომისარიატის წინაშე დაისვა საკითხი, ქვეყანაში ქმედითი ღონისძიებების გატარების შესახებ. კერძოდ, ერის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის კომისარიატმა ქვეყნისათვის აუცილებელ ამოცანად, ამიერკავკასიის სათათბირო ორგანოს – ამიერკავკასიის სეიმის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო.[42]

1918 წლის 10(23) თებერვალს ამ იდეას ხორცი შეესხა და თბილისში ფუნქციონირება დაიწყო ამიერკავკასიის სეიმმა, რამაც თავის მხრივ უფრო მეტად შეუწყო ხელი ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფას. თვით ფაქტი – ამიერკავკასიის სეიმის შექმნისა, მართლაც რომ წარმატებული ნაბიჯი იყო იმ ურთულეს მწვერვალისაკენ მიმავალი გზისა, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ერქვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ისტორია, სახელმძღვანელო, XII კლასი, გამოცემლობა „ბაკურ სულაკაური“, პარ. 20 (გვ.110-112);

2.ისტორია, სახელმძღვანელო, XII კლასი, გამომცემლობა „დიოგენე“, პარ. 26 (გვ. 135-137);

3. ირმა გოგოლაძე - ბრესტის ზავის შედეგები და საქართველო (ბათუმის ოლქის მაგალითზე); გვ.: 40-54; ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/4dOr0Nc

4.არჩილ ვაშალომიძე - ბათუმის ოლქის საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის, ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე; გვ. 44-57; ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3yiyOXa

5.პოლიტიკური კარიკატურა “სამი ძვალი” - ამერიკელი კარიკატურისტი ელმერ ენდრიუს ბუშნელი, 1918 წელი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3yijABp

5.ბრესტ-ლიტოვსკის ზავი (დოკუმენტი) - ხელმისაწვდომია მისამართზე: https://files.fm/f/9cqxr52nbd

საკითხი II: საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის I კონსტიტუცია

სამიზნე ცნებები: ისტორიული მოვლენა/პროცესი; ძალაუფლება; დრო

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება.

პროექტული დავალების პირობა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კონსტიტუციის მიღება რთულ პირობებში მოუწია. სახელმწიფოს მთავარ დოკუმენტზე მუშაობა დამფუძნებელი კრების არჩევისთანავე დაიწყო. დამფუძნებელმა კრებამ მესამე სხდომაზე, რომელიც 1919 წლის 18 მარტს ჩატარდა, აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით.

წარმოიდგინე, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყავი. შენ თვალწინ 1919 (12.03.) - 1921 (21.02.) წლებში საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა: ჩამოყალიბდა ქვეყნის სრულიად ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო და დასაბამი მიეცა ფართო კანონშემოქმედებით პროცესს, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა. გადაწყვიტე შექმნა **მემუარები**, რომლებშიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იმ მდიდარ და ნაყოფიერ გამოცდილებაზე ისაუბრებ, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც.

მემუარებში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- მიზეზები, რომელმაც განაპირობა დამფუძნებელი კრების მოწვევა და მასში წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი;
- როგორ აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში;
- დამფუძნებელი კრების ორწლიანი მუშაობის შედეგები, როგორი გავლენა მოახდინა მისმა მუშაობამ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე;
- რა ძირითადი მახასიათებლებითა და გამოწვევებით ხასიათდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდი (1918 26.05.-1921.25.02.);

მეთოდიკური ორიენტირები

საკვანძო კითხვა: რატომ ითვლება საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაყოფიერ გამოცდილებად?

სარეკომენდაციო აქტივობა I.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემას, რომლის მიხედვითაც მათ უნდა იმსჯელონ საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის მიზეზებზე.

სარეკომენდაციო აქტივობა II.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სქემას, რომლის მიხედვითაც მათ უნდა იმსჯელონ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილ პოლიტიკურ, ეთნიკურ და გენდერულ სპექტრზე.

სარეკომენდაციო აქტივობა III.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კონტექსტ-მაგალითის გაცნობის საფუძველზე გამართონ "იმიტირებული დიალოგი" ნოე ჟორდანისთან თემაზე: "როგორი უნდა იყოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია".

სარეკომენდაციო აქტივობა IV.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს კონტექსტ-მაგალითის გაცნობის საფუძველზე იმსჯელონ, თუ როგორ აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ კონსტიტუციაში;



სარეკომენდაციო აქტივობა V.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს SWOT ანალიზის გამოყენებით შეაფასონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია.



სარეკომენდაციო აქტივობა VI.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუციის მუხლების შესახებ და გამოთქვან საკუთარი პოზიცია.



სარეკომენდაციო აქტივობა VII.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, იმსჯელონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ორწლიანი მუშაობის შედეგების შესახებ: როგორი გავლენა მოახდინა მისმა მუშაობამ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე და შეავსონ ცხრილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მუშაობა	შედეგები			
	პოლიტიკური	ეკონომიკური	სოციალური	კულტურული

სარეკომენდაციო აქტივობა VIII

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეაჯამონ შესწავლილი საკითხი და შეავსონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრის პერსონაჟის რუკა, სადაც იგი იმსჯელებს იმ გამოწვევებზე, რომლებითაც ხასიათდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდი.

სახელი, გვარი .....
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრი

სად და როდის ხდება მოქმედება

სიუჟეტი (პრობლემა)



კონტექსტ-მაგალითი (ქეისი)

საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 1919 წლის 12 მარტს, თბილისში, ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლეთა სასახლე) გაიხსნა. კრების გახსნა ფირზე აღბეჭდა რეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ. იმდროინდელმა პრესამაც შემოგვინახა ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი დოკუმენტური მასალა. ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით: „სასახლესთან ტევა აღარაა. ქუჩის ორივე მხარე სავსეა ხალხით. ნემსი ვერ ჩავარდებაო რომ იტყვიან, სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. ...სასახლის თეთრი დარბაზის შუაში სხედან სოციალ-დემოკრატები, მარცხნივ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები, მარჯვნივ ეროვნულ-დემოკრატები. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟა. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა - ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შვეიცარიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩეხოსლოვაკიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, უკრაინის და სხვ. წარმომადგენლები. 12 საათსა და 5 წუთზე სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე, მდივნობს ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფაღავა.“

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, თავმჯდომარის უფროს ამხანაგად (პირველ მოადგილედ) - ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოციალ-დემოკრატი). თავმჯდომარის ამხანაგებად (მოადგილეებად) აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი); მდივნობა დაეკისრათ გრიგოლ (გიგო) ნათაძესა (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ქრისტინე შარაშიძეს (სოციალ-დემოკრატი).

სხდომის დასასრულს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც პირველებმა ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა, შემდეგ სხდომის დამსწრე დამფუძნებელი კრების 99 დეპუტატმა.

დამფუძნებელი კრების პირველი დღე თავისი მნიშვნელობით გამორჩეული თარიღია საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში. ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა ეროვნული სახალხო-წარმომადგენლობითი საკრებულო, როგორც ქვეყნის სრულიად ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. დასაბამი მიეცა ფართო კანონშემოქმედებით პროცესს, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კონსტიტუციის მიღება რთულ პირობებში მოუწია. სახელმწიფოს მთავარ დოკუმენტზე მუშაობა დამფუძნებელი კრების არჩევისთანავე დაიწყო. დამფუძნებელმა კრებამ მესამე სხდომაზე, რომელიც 1919 წლის 18 მარტს ჩატარდა, აირჩია საკონსტიტუციო კომისია 15 წევრის შემადგენლობით. მათგან, 10 წევრი სოციალ-დემოკრატების პარტიის წევრი იყო, 2-2 წევრი ჰყავდა ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალისტ-ფედერალისტებს, ხოლო 1 წევრი სოციალისტ-რევოლუციონერებს. მოგვიანებით, კომისიას ეროვნული პარტიისა და დაშნაკების თითო-თითო წევრიც შეუერთდა.

კონსტიტუციის პირველი ვარიანტი 1920 წლის ივნისში მომზადდა. საკონსტიტუციო კომისიამ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს კონსტიტუციის პროექტის ანაბეჭდი 1920 წლის 8 ივნისს გადაუგზავნა. ეს პროექტი შედგებოდა 17 თავისა და 166 მუხლისგან. დამფუძნებელმა კრებამ აღნიშნული საკონსტიტუციო

პროექტის განხილვა 59-ე საგანგებო სხდომაზე, 1920 წლის 24 ნოემბერს დაიწყო და დიდხანს გაგრძელდა. 15 დეკემბერს ესერებმა კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტი წარმოადგინეს, თუმცა მათი მცდელობა ყველა პარტიამ დაგმო.

კონსტიტუციის განხილვის პროცესის შესაბამისად, თითოეული ფრაქცია საკუთარ შესწორებებს აკეთებდა და წარუდგენდა დამფუძნებელ კრებას. შესწორებები საკონსტიტუციო კომისიას ეგზავნებოდა, რათა დასკვნა გაეკეთებინათ. დიდი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვის უნდა მიეღო კონსტიტუცია: დამფუძნებელ კრებას თუ რეფერენდუმის გზით მოსახლეობას. განხილვები საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ამასობაში კი პოლიტიკური ვითარება კვლავ ირეოდა. გეგმის მიხედვით, დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის მიღებას 12 მარტს, კრების გახსნის დღეს აპირებდა, თუმცა მოვლენები ისე განვითარდა, რომ კონსტიტუციის მიღება საერთოდ ეჭვის ქვეშ დადგა.

საქართველოს რუსეთის წითელი არმია ესხმოდა თავს, რის გამოც დაჩქარდა კონსტიტუციის მიღების პროცესი. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია ერთხმად მიიღო. გარეთ, სახალხო ზეიმის ნაცვლად, ზარბაზნების ხმა ისმოდა.

საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ აისახა პირველი მთავრობის მიზნები, შეექმნათ დემოკრატიული, განვითარებული, თანასწორ უფლებებზე ორიენტირებული ევროპული კონსტიტუცია, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული იქნებოდა.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ამოსავალი პრინციპები ჩამოყალიბებული იქნა 1918 წ. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. პ. საყვარელიძე აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობის აქტი იყო „ახალი საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი ნების აღიარება, დასაბამი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა“, წყარო, საიდანაც გამომდინარეობდა საქართველოს კონსტიტუცია.

შემდგომში, საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები არა მარტო საფუძვლად დაედო კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს, არამედ თვით დამოუკიდებლობის აქტიც მთლიანად დაერთო შესავალი ნაწილის სახით კონსტიტუციის პროექტს. როგორც აღნიშნავდა გ. გვაზავა, დამოუკიდებ-

ლობის აქტი „არის დაბადება ჩვენი სახელმწიფოსი“, იგი „უნდა მივიღოთ, როგორც შესავალი კონსტიტუციისა, რადგან ეს არის ფაქტი, რომლის შემდეგაც მომდინარეობს, მოსჩქეფს ჩვენი უფლებანი, რასაკვირველია ეს უნდა ედგას სათავეში ჩვენს კონსტიტუციას“ (სცსსა, ფ.1833, ანაწ.1, საქ.859, ფურც.139). საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრება დამფუძნებელმა კრებამაც გაიზიარა და დამოუკიდებლობის აქტი დაურთო კონსტიტუციას, როგორც შესავალი ნაწილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ორი ნაწილისაგან შედგება: იწყება ისტორიული შესავლით – რა ვითარებაში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მას მოსდევს საკუთრივ კონსტიტუციური ნაწილი, ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც ემყარება საქართველოს დამოუკიდებლობა:

– საქართველოს ხალხი სუვერენულია, საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;

– დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმაა დემოკრატიული რესპუბლიკა;

– საქართველო საერთაშორისო ომიანობის დროს მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა;

– საერთაშორისო ცხოვრებაში საქართველო კეთილგანწყობილია ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან;

– საქართველო შინ აწესებს სრულ სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რწმენისა და მდგომარეობისა;

– საქართველო თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ეროვნულ უმცირესობათა თავისუფალ განვითარებას.

ამ ამოსავალ პრინციპებს სჭირდებოდა ხორცშესხმა, განმარტება და დაკონკრეტება კონსტიტუციის ტექსტში. ეს უკვე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო იმ პოლიტიკური ძალის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ პროგრამაზე, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პოლიტიკური ძალა საქართველოს სოციალ-დემოკრატია აღმოჩნდა, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილად მიაჩნდა თავი.

დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპების ასახვა საქართველოს კონსტიტუციაში

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს დიდი ყურადღება დაეთმო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპების რეალიზებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოქალაქეთა უფლებების დაცვას განურჩევლად სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა და ეროვნებისა. ეს იყო მთლიანობაში 55 მუხლი, რაც მთელი კონსტიტუციის (149 მუხლი) მესამედზე მეტს შეადგენდა.

დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები ნეიტრალიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ სხვა სახელმწიფოებთან აღარ შეუტანიათ კონსტიტუციაში, რადგანაც ეს მუხლები დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და უკვე მოცემული იყო დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც კონსტიტუციას შესავალი ნაწილის სახით ერთვოდა.

დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული დემოკრატიული რესპუბლიკა კონსტიტუციით მმართველობის მუდმივ და უცვლელ ფორმად გამოცხადდა. შემუშავებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციფიკური მოდელი, რომელიც ორიენტირებული იყო ხალხის სუვერენიტეტის მაქსიმალურ უზრუნველყოფაზე. ეს საკითხები მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით იქნება განხილული. აქ კი მოკლედ, ცხრილის სახით, იქნება წარმოდგენილი დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპების რეალიზება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

დამოუკიდებლობის აქტით დეკლარირებული პრინციპები	1921 წლის კონსტიტუციაში ამ პრინციპების რეალიზება
ხალხის სუვერენიტეტი	კონსტიტუციის 52-ე მუხლი, წარმომადგენლობითი დემოკრატიის შეზღუდვა „პირდაპირი დემოკრატიის ჩარევით“
საქართველოს სუვერენიტეტი	კონსტიტუციის 1-ლი მუხლი: „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“. კონსტიტუციისთვის ამოსავალი გახდა ერი-სახელმწიფოს კონცეფცია.
დემოკრატიული რესპუბლიკა	შემუშავებული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკის კონცეფცია, რომელსაც „დემოკრატიის ქართული მოდელი“ შეიძლება ვუწოდოთ. დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება მმართველობის „მუდმივ და უცვლელ“ ფორმად (მუხლი 1).
ნეიტრალიტეტი	კონსტიტუციის პროექტის მე-2 მუხლი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალი სახელმწიფოა“. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტში აღარ შეიტანეს, რადგანაც დეკლარაციულ სახეს ატარებდა, უკვე იყო დაფიქსირებული დამოუკიდებლობის აქტში და კონსტიტუციაში მის შეტანას, შეიძლება, ხელი შეეშალა საქართველოს ერთა ლიგაში მიღებისათვის.
კეთილმეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან	კონსტიტუციის პროექტის მე-13 მუხლი აცხადებდა: „საერთაშორისო მშვიდობიანობის დასამყარებლად საქართველოს რესპუბლიკას ერთად ერთ საშვალებად მიაჩნია თავისუფალ ერთა კავშირი“. დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციამ მოითხოვა ამ მუხლის ამოღება
მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფა	კონსტიტუციის მე-3 თავი „მოქალაქეთა უფლებები“ (30 მუხლი) და მე-13 თავი „მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებანი“ (16 მუხლი).
ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა	კონსტიტუციის მე-14 თავი „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“ (9 მუხლი)

როგორი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუცია

ნოე ჟორდანია კონსტიტუციის შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პოლიტიკური ძალის – სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს, მისი მომავალი კონსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ნოე ჟორდანიას ნაშრომში „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია". ესაა მოხსენება, რომელიც მან 1918 წლის 4 აგვისტოს პარტიულ კრებაზე წაიკითხა რუსულ ენაზე. ნოე ჟორდანიას მიზანი იყო პირველ რიგში თავისი პარტიის წევრებისათვის განემარტა, თუ რა იდეალების სახელით მიმდინარეობდა მუშაობა ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად. ახსნა-განმარტება კი ნამდვილად საჭირო იყო: სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ადრე მართლაც არ უფიქრია, რომ არათუ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში მიიღებდა მონაწილეობას, არამედ თავად ჩაუდგებოდა ამ საქმეს სათავეში.

სწორედ ამიტომ ნ. ჟორდანია იძულებული იყო პირველ რიგში პასუხი გაეცა მათთვის, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება სოციალ-დემოკრატიის პოზიციის ღალატად მიაჩნდა. ასეთი ბრალდების გასაბათილებლად აღნიშნავდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა – იყო ერთა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკული განხორციელება და ამას ჭეშმარიტი სოციალისტი მხოლოდ უნდა მისალმებოდა. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიის პრინციპების ღალატს, – ნ. ჟორდანიას თქმით, – ამის შესახებ მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფოს პრაქტიკული მშენებლობის დროს.

ამ ნაშრომში ნ. ჟორდანიას მიერ ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებით თუ შევადარებთ ზემოთ განხილულ გაზეთ „საქართველოს" სარედაქციო სტატიას, განსხვავება თვალშისაცემი იქნება. ეროვნულ-დემოკრატიული პოზიციის გაზეთისათვის ამოსავალი იყო ეროვნული ინტერესები და მიზნები, ნოე ჟორდანიასათვის კი ჯერჯერობით საქართველო მოულოდნელად დავიწროებული სარბიელია, სადაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა პროლეტარიატის კლასობრივი მიზნების, სოციალიზმის ინტერესების შესაბამისად.

ნოე ჟორდანია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მსოფლიოში პირველად საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მოუწია მთავარი როლის

შესრულება თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილებით ნ. ჟორდანია არაპირდაპირ მიუთითებდა იმ ისტორიულ პასუხისმგებლობაზე, რაც ქართველ სოციალ-დემოკრატებს დაეკისრათ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინაშე. ნ. ჟორდანია უმთავრეს საკითხად მიიჩნევდა იმას, თუ როგორ უნდა შეთავსებოდა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა „ბურჟუაზიულ სახელმწიფო დაწესებულებათა“ მშენებლობას, რა უნდა გაეკეთებინათ იმისათვის, რომ არ გადაეხვიათ სოციალ-დემოკრატიის გზისათვის. საქართველოს იმდროინდელი მმართველი პარტია თვითონ ისწრაფოდა სოციალიზმისაკენ, მიიჩნევდა მას კაცობრიობის პროგრესის უმთავრეს მიმართულებად, აკრიტიკებდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობას“, მაგრამ ამასთან მკვეთრად ემიჯნებოდა ბოლშევიზმს, რომელიც უარყოფდა ტრადიციულ დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და ღირებულებებს. საქართველოს სოციალ-დემოკრატიას პირიქით, „დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი პარლამენტარიზმის“ დაცვა მიაჩნდა ერთადერთ გზად სოციალისტური მიზნების მისაღწევად, ამავე დროს კარგად ესმოდა თავისი საპროგრამო მიზნების „დეკრეტებით შემოღების“ და სწრაფად განხორციელების შეუძლებლობა.

ნ. ჟორდანია ეყრდნობოდა სახელმწიფოს მარქსისტულ გაგებას, განიხილავდა მას კლასობრივი ბატონობის იარაღად, რომელიც პროლეტარიატმა უნდა მოიპოვოს თვითგანთავისუფლებისათვის. საქართველოში სოციალ-დემოკრატიამ მოიპოვა ეს ძალა, მაგრამ სოციალისტური რევოლუცია მხოლოდ ისტორიულ პერსპექტივას წარმოადგენდა. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საქართველოს პირობებში სოციალისტური გარდაქმნა შეიძლება განხილული ყოფილიყო მხოლოდ „როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა, და არა როგორც პირდაპირი პრაქტიკული საგანი“ (ჟორდანია ნ., 1919, გვ.5).

ნ. ჟორდანია აკრიტიკებდა ბოლშევიკებს, რომლებიც პირდაპირ აპირებდნენ „სოციალიზმის სამეფოში“ მოხვედრას, დემოკრატიის გვერდის ავლით. ფორმულა – დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ – საქართველოს პირობებში მოითხოვდა აქცენტის გაკეთებას დემოკრატიაზე და ამდენად, საქართველოს მომავალ კონსტიტუციას უნდა დაემკვიდრებინა დემოკრატიული პრინციპები და ინსტიტუტები.

ნ. ჟორდანია იმოწმებდა იმდროინდელი სოციალ-დემოკრატიის აღიარებულ ავტორიტეტს – კ. კაუცკის და აღნიშნავდა, რომ დემოკრატიული

რესპუბლიკა სოციალიზმთან თავსებადი ერთადერთი პოლიტიკური ფორმა იყო, რომელიც საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობას იძლეოდა (ჟორდანია ნ., 1919, გვ.21).

ნ. ჟორდანიას განცხადებით, ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფო, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის ხელისუფლების სათავეში ყოფნისა, დარჩებოდა „ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში", მაგრამ ხელისუფლების სათავეში მყოფ სოციალ-დემოკრატიას მიზნად უნდა დაესახა, რომ ამ ფარგლებში აეშენებინა „ისეთი სახელმწიფო, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ღარიბ კლასების ინტერესებისათვის" (ჟორდანია ნ., 1919, გვ.6). მისი აზრით, ამ ამოცანის გადასაწყვეტად საქართველოში ყველა პირობა არსებობდა. ასეთ დასკვნას აკეთებს კლასობრივ ძალთა განლაგების, ანუ „ფაქტიური კონსტიტუციის", საზოგადოებრივი ურთიერთობების ანალიზზე დაყრდნობით.

ნ. ჟორდანიას აზრით, საქართველოში არავითარი შინაგანი საფუძველი არ არსებობდა რესტავრაციის ან მონარქიული კონსტიტუციისათვის – თავადაზნაურობას დაკარგული ჰქონდა რეალური ძალა, არ არსებობდა ძლიერი ბურჟუაზიაც. საქართველოს ფაქტიური კონსტიტუცია, მისი აზრით, ეყრდნობოდა სამი დემოკრატიული კლასის – მუშების, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამასთან, ეს ორი უკანასკნელი კლასი, გლეხობის ჩამორჩენილი ფენების გამოკლებით, აღიარებდა მუშათა დემოკრატიის პოლიტიკურ ჰეგემონიას. დასახელებული კლასების სასიცოცხლო ინტერესები კი დემოკრატიული პოლიტიკური დაწესებულებების არსებობას მოითხოვდა.

ნ. ჟორდანია მიუთითებდა, რომ ასეთ სოციალურ ბაზაზე შეიძლება სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ერთი ფორმა აგებულიყო – რესპუბლიკა. ამასთან, საქართველო იმ ქვეყნების მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელთაც შეძლეს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება მძლავრი ბურჟუაზიის ჩამოყალიბებამდე (ჟორდანია ნ., 1919, გვ.9).

ასეთია ნ. ჟორდანიას არგუმენტაცია საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების პერსპექტივების თაობაზე. ქვეყნის შინაგანი პირობების თვალსაზრისით, მას აფიქრებდა მხოლოდ გლეხობის „ჩამორჩენილი" ნაწილი, რომელმაც, მისი თქმით, საფრანგეთში ორჯერ (ნაპოლეონ I-ისა და ნაპოლეონ III-ის დროს) დაასამარა დემოკრატიული რესპუბლიკა (ჟორდანია ნ., 1919, გვ.14).

დემოკრატიული რესპუბლიკის არსის საჩვენებლად, ნ. ჟორდანია მას უპირისპირებდა პარლამენტარულ რესპუბლიკას, რომელიც „ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის“ განსახიერებად მიაჩნდა. მისი თქმით, პარლამენტური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ცენტრალური ხელისუფლების უსაზღვრო გაძლიერება, მთელი ხელისუფლების – როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო და აღმასრულებელის – თავმოყრა პარლამენტის ხელში. პარლამენტური მმართველობა არ უშვებს ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას. ხალხი მხოლოდ ირჩევს პარლამენტარებს და აღარავითარ მონაწილეობას მმართველობაში აღარ ღებულობს. ჟორდანიას დახასიათებით, საპარლამენტო რესპუბლიკისგან პრინციპულად განსხვავდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის პრინციპი. აქ ხელისუფლება თავმოყრილი კი არაა ცენტრში, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიას შორის, ხელისუფლების დიდი ნაწილი უშუალოდ ხალხის ხელში რჩება, რომელსაც საშუალება აქვს ხელისუფლება გამოავლინოს ცენტრისაგან დამოუკიდებელი ორგანოების მეშვეობით. ხალხი უშუალოდ მონაწილეობს მართვაში. ხელისუფლების ასეთი განაწილების დროს ცენტრალური ხელისუფლება აღარ უპირისპირდება ხალხს და გადაიქცევა სახალხო ხელისუფლებად.

ნ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საქართველოსთვის მიუღებელი იყო აშშ-სა და შვეიცარიაში არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერაციული ფორმა და ჩვენს ქვეყანაში უნდა დამკვიდრებულიყო უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ მხრივ საქართველო სხვა ქვეყნების გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ნოე ჟორდანიას სიტყვებით, უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა ძველ საბერძნეთში იყო, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოს მასშტაბით მისი დამკვიდრების ცდა (საფრანგეთი, 1793 წლის კონვენტის კონსტიტუცია) მარცხით დამთავრდა. საქართველოს უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის მოწყობის საკითხის განხილვისას ნ. ჟორდანია ზოგ რამეს სწორედ საფრანგეთის 1793 წლის კონსტიტუციიდან სესხულობდა. მაშასადამე, ჟორდანიას აზრით, საქართველოს წინაშე იდგა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის რთული და ძნელი ამოცანა, მის შესასრულებლად კი საქართველოს ესაჭიროებოდა ორი პირობა – ნამდვილი დამოუკიდებლობა და ძლიერი დემოკრატიული ხელისუფლება. საქართველოს მომავალ კონსტიტუციას, – აღნიშნავდა ნ. ჟორდანია, – შეიმუშავებდა დამფუძნებელი კრება

და შემდეგ ამ დოკუმენტს ხალხის სამსჯავროზე (რეფერენდუმი) გაიტანდნენ. ასევე რეფერენდუმის გზით უნდა შესულიყო ცვლილებები კონსტიტუციაში (ლოგიკურია: კონსტიტუციას თუ რეფერენდუმის გზით მიიღებ, ცვლილებებიც რეფერენდუმის საშუალებით უნდა მოხდეს).

ჟორდანიას აზრით, საქართველოს მომავალი საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანი უნდა ყოფილიყო. ამ ორგანოს უზენაესობა შეიზღუდებოდა კონსტიტუციით და სახალხო რეფერენდუმით. ის ხაზგასმით აღნიშნავდა რეფერენდუმის მნიშვნელობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში – რეფერენდუმი აერთიანებს ხალხს სახელმწიფოს მასშტაბით, გადააქცევს მას შეგნებულ პოლიტიკურ დემოკრატიად. ამავე დროს, ერთპალატიანი სისტემის დროს რეფერენდუმს დაეკისრებოდა კონტროლის ფუნქციაც, თავიდან იქნებოდა აცილებული ნაჩქარევი და მოუფიქრებელი ნაბიჯები კანონმდებლობის სფეროში. ამავე დროს, შვეიცარიის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჟორდანია აღნიშნავდა, რომ რეფერენდუმის დროს ხალხმა შეიძლება უარყოს პროგრესული კანონები (ჩამორჩენილობის ან საკითხის სირთულის გამო). ამიტომ, მისი აზრით, მხოლოდ ზოგიერთ ძირითად საკითხზე გამოცემული კანონები უნდა მიეღოთ რეფერენდუმის გზით.

ნ. ჟორდანიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობის საკითხს. მისი აზრით, ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო მინისტრთა კაბინეტი უნდა ყოფილიყო. პარლამენტური რეჟიმის დროს სამინისტრო გამოხატავს საპარლამენტო უმრავლესობის ნებას და ასრულებს მის გადაწყვეტილებებს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში კი პირიქით, ის არ ატარებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და არ არის კანონთა ერთადერთი შემსრულებელი. მიუთითებდა რა შვეიცარიის მაგალითზე, ჟორდანია აღნიშნავდა, რომ იქ სამინისტრო – საქმიანი კოლეგიაა, გამოცდილი და მცოდნე ადმინისტრატორებისგან შემდგარი.

ნოე ჟორდანიას აზრით, დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამინისტრო არ შეიძლება ყოფილიყო პარლამენტის აღმასრულებელი ხელისუფლება, რადგანაც კანონმდებელი იქნებოდა არა მარტო პარლამენტი, არამედ ხალხიც და საპარლამენტო უმრავლესობის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ხალხის უმრავლესობის პოზიციას.

საკითხის თეორიული განხილვის შემდეგ ნ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იყო გადაჭრით პასუხის გაცემა კი-

თხვაზე – შესაძლებელი იქნებოდა თუ არა არაპარლამენტური სამინისტროს შექმნა საქართველოში. „ეს გამოირკვევა დემოკრატიული კონსტიტუციის პრაქტიკიდან“, – აღნიშნავდა იგი (ჟორდანია ნ., 1919, გვ.26).

პარლამენტარიზმი, ნ. ჟორდანიას თქმით, არათავსებადი იყო სახალხო კანონმდებლობასთან, მაგრამ როგორც გარდამავალი საფეხური, მას შესაძლებლად მიაჩნდა ისეთი კაბინეტის შედგენა, სადაც თავმჯდომარე და ერთი ან ორი მინისტრი (შინაგან და საგარეო საქმეთა) იქნებოდნენ პოლიტიკურად პასუხისმგებელნი, „დანარჩენები კი საქმის ხალხი, რომელნიც გააგრძელებენ თავიანთ საქმეებს მაშინაც, როცა პასუხისმგებელ მინისტრების გამოცვლა ხდება“ (ჟორდანია ნ., 1919, გვ.26-27).

არასაპარლამენტო სამინისტრო, – აღნიშნავდა ჟორდანია, – ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს. აუცილებელად მიაჩნდა ადმინისტრატორთა არჩევის სისტემაც. აშშ-ში, შვეიცარიაში ხალხი ირჩევს გუბერნატორებს და სხვა თანამდებობის პირებს. საქართველოს პირობებში კი უმჯობესად მიაჩნდა კონვენტის სისტემა: ადმინისტრატორთა არჩევა მინდობოდა ხალხის მიერ არჩეულ საერობო და მუნიციპალურ თვითმმართველობებს, რომელსაც ისინი პირდაპირ დაემორჩილებოდნენ, ხოლო არაპირდაპირ – მინისტრს, რომელიც თვალს გაადევნებდა მისი მოქმედების კანონთან შესაბამისობას. „ცენტრალური მთავრობის კონსტრუქციის დროს, – აღნიშნავდა ჟორდანია, – ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი პრინციპით: ეს მთავრობა რაც შეიძლება ნაკლებ მმართველობდეს ხალხზე და მეტს ნივთებზე, ე.ი. ის უნდა ცდილობდეს სახელმწიფოებრივი მეურნეობის და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას“ (ჟორდანია ნ., 1919, გვ.27).

არსებული დემოკრატიული რესპუბლიკები, – მიუთითებდა ნ. ჟორდანია, – არ ისახავენ თითქმის არავითარ სამეურნეო მიზნებს. საქართველოში კი დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზნად ნ. ჟორდანია მიიჩნევდა სახელმწიფოს შეძლებისდაგვარად გადაქცევას სამეურნეო ორგანიზაციად. მშრომელთა ინტერესებისათვის მოითხოვს სახელმწიფოს ხელი მოეკიდა პირველ რიგში სამეურნეო და კულტურული საქმეებისათვის და შემდეგ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურისთვის.

ნ. ჟორდანიამ დიდი ყურადღება დაუთმო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ისევე როგორც საკანონმდებლო ხელისუფლებაა განაწილებული პარლამენტსა და ხალხს

შორის, აღმასრულებელი ხელისუფლებაც უნდა განაწილებულიყო მთავრობასა და თვითმმართველობის საზოგადოებრივ ორგანოებს შორის. საქართველოში კი არ არსებობდა კომუნალური თვითმმართველობა – ყველაზე ძირითადი, აუცილებელი ორგანო, რომელსაც ემყარება ყველა თანამედროვე სახელმწიფო. ამიტომ ყველაზე გადაუდებელ ამოცანად ნ. ჟორდანიას მიაჩნდა კომუნალური ორგანოების – სახელმწიფოებრივი ცხოვრების ადგილობრივი ორგანოების შექმნა. ამის შედეგად მტკიცე საძირკველს შეიძენდა სახელმწიფო შენობა – როგორც მისი მდგრადობის, ისე კანონების შესრულების აზრით.

სასამართლოს ორგანიზაციის საკითხის განხილვისას ნ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და უცვლელობა საპარლამენტო ქვეყანაში აუცილებელი იყო, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის შემთხვევაში, ვითარება იცვლება: მოსამართლეს ირჩევს ხალხი და იგი არ ინიშნება მთავრობის მიერ, შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა ადმინისტრაციაზე დამოკიდებული. ის დამოკიდებული იქნებოდა მხოლოდ ხალხზე. ამიტომ დემოკრატიულ ქვეყნებში ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს აირჩიოს და გადაირჩიოს მმართველები, უნდა ხდებოდეს მოსამართლეთა ვადით არჩევა ხელახლა არჩევის უფლებით. იმის გამო, რომ საქართველოში დამკვიდრებული იყო მოსამართლეთა უცვლელობის იდეა, ნოე ჟორდანიას დასაშვებად მიაჩნდა კომპრომისული სისტემის შექმნა: ხელმეორედ არჩეული მოსამართლეები უცვლელად ჩათვლილიყვნენ, რადგანაც ხალხის ნდობა მოიპოვეს. მაგრამ, მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ დროებითი მოვლენა, რადგანაც არ გამომდინარეობდა რესპუბლიკის პრინციპებიდან და მალე უნდა გაუქმებულიყო.

ნ. ჟორდანიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის საკითხსაც. მუდმივ არმიას შეუთავსებლად მიიჩნევდა დემოკრატიულ რესპუბლიკასთან („საფრთხეს შეიცავს დემოკრატიული წყობილებისათვის“). ამიტომ, მისი აზრით, მსოფლიო ომის დამთავრებისა და საქართველოს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარების შემდეგ, შემოღებული უნდა ყოფილიყო სახალხო მილიციის სისტემა.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისაგან.

მუხლი 1. *საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.*

მუხლი 3. *საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.*

მუხლი 12. *საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებითა და ნატურალიზაციით.*

მუხლი 13. *საქართველოს მოქალაქეს არ შეუძლია იმავე დროს იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე.*

მუხლი 16. *კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია.*

მუხლი 19. *სიკვდილით დასჯა გაუქმებულია.*

მუხლი 29. *კერძო მიმოწერა ხელშეუხებელია. მისი ამოღება და გასინჯვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.*

მუხლი 38. *მუშათა გაფიცვა თავისუფალია.*

მუხლი 39. *ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით.*

მუხლი 46. *საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოა „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისგან. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა.*

მუხლი 64. *30 000 ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტმა ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ უნდა წარუდგინოს ხალხს. რეფერენდუმის წესს განსაზღვრავს კანონი.*

მუხლი 66. *უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას.*

მუხლი 67. *მთავრობას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 1 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.*

მუხლი 70. *მთავრობის თავმჯდომარეს ენიჭება რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა. იგი ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში და უცხოეთის ელჩები წარმოიგზავნებიან მასთან.*

მუხლი 76. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს წარმოადგენს სენატი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი.*

მუხლი 78. *სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება.*

მუხლი 101. *ადგილობრივი თვითმმართველობა აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით.*

მუხლი 107. *საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და საინგილოს (ზაქათალის ოლქს) ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.*

მუხლი 110. *პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. სწავლა-განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საერო.*

მუხლი 129. *ყველას აქვს უფლება, წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე.*

მუხლი 135. *ეროვნული უმცირესობების სკოლებში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.*

მუხლი 142. *სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი არიან.*

მუხლი 143. *არც ერთ სარწმუნოებას არ აქვს უპირატესობა.*

დამფუძნებელი კრება და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების ჩამოყალიბებას წინ საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის მუშაობა უსწრებდა. ეროვნული საბჭოს სახელთან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ხოლო პარლამენტთან - ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს კანონშემოქმედების საწყისი ეტაპია დაკავშირებული. ერთმაც და მეორემაც ქვეყნის შემდგომი ბედის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ არც საბჭო და არც პარლამენტი არ ყოფილა შექმნილი სახალხო არჩევნების გზით.

1917 წლის ნოემბერში დაარსებული საქართველოს ეროვნული საბჭო პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმების საფუძველზე ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ იგი დამატებითი წევრებით, მათ შორის სამაჰმადიანო საქართველოს, ზაქათალის, ასევე ეროვნულ უმცირესობათა წარგზავნილებით შეივსო და საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა. მართალია, ხსენებული ორგანო აერთიანებდა ქვეყნის ყველა გავლენიან პოლიტიკურ ძალას, - ე.ი. ასახავდა საქართველოს ძირითად პოლიტიკურ სპექტრს, იყო პოლიეთნიკური შემადგენლობის და, ამასთან, მმართველობის სადავეებშიც მოცილე არავინ ჰყოლია, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული თვალსაზრისით მას ლეგიტიმაცია აკლდა.

ცნობილია, რომ სუვერენული საქართველოს მესვეურნი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას მხოლოდ დემოკრატიულ ნიადაგზე გაიაზრებდნენ. დემოკრატიულ პრინციპებს, მათ შორის სახელმწიფოს მოწყობა-განვითარების სფეროში ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა იმჟამინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა. რაკი სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ერთი უმთავრესი პირობა ხელისუფლების არჩევითობაა, დღის წესრიგში იმთავითვე დადგა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირება საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. ანუ, საერთო-სახალხო ნებით

უნდა შექმნილიყო ისეთი წარმომადგენლობითი საკრებულო, რომელსაც შეეძლებოდა სრულად გამოეხატა ქვეყნის არა მხოლოდ სატიტულო ერის - ქართველობის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები. ამგვარ ინსტიტუტად მიჩნეულ იქნა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრების იდეა რომანოვთა იმპერიაში აქტუალური იყო 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის წლებში. უფრო მეტად პოპულარული გახდა და პრაქტიკულადაც მომწიფდა იგი თვითმპყრობელობის დამხობის პერიოდში. 1917 წლის შემოდგომაზე ჩატარდა არჩევნებიც, მაგრამ ძალაუფლებას დაუფლებულმა ბოლშევიკებმა რუსეთში არ დაუშვეს დამფუძნებელი კრების მუშაობა და იგი შეკრებისთანავე გარეკეს.

რაც შეეხება საკუთრივ ჩვენს ქვეყანას, აქ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბერში გამართულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე ოფიციალურად გამჟღავნდა, რომ განზრახული იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა. რეზოლუციაში პოლიტიკური მომენტის შესახებ ყრილობამ მიუთითა: „საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს."[1] კრების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა ასევე 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის მეშვიდე მუხლში აღინიშნა: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო." ამრიგად, ეროვნული საბჭოცა და საქართველოს პარლამენტიც მიჩნეული იყო დროებით სტრუქტურებად, რომელთაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმოთ სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის.

დამფუძნებელ კრებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს იერ-სახის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალებოდა. კრება განახლებული საქართველოს პოლიტიკური მესაძირკვლე უნდა გამხდარიყო. დამფუძნებელი კრების მეშვეობით მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლეოდა გამოეთქვა აზრი, გამართლებული იყო თუ არა პოლიტიკური პარტიების გადაწვეტილება, დაემტკიცებინა ან საე-

1 გაზ. „საქართველო," 1917 წ., 24 ნოემბერი.

რთოდ უარეყო საქართველოს დამოუკიდებლობა. „ჩვენ მივდივართ ხალხთან და გვინდა მან სთქვას, სწორი იყო ჩვენი ნაბიჯი თუ შემცდარი, ...მან დააფუძნოს ის, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ესე იგი მისცეს საფუძველი და სიმტკიცე, დასცეს დასტური იმ აქტს დამოუკიდებლობისა, რომელიც 26 მაისს ...იქნა გამოქვეყნებული," წერდა გაზეთი „ერთობა."[1]

ასეთ რეალობაში სამზადისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე დაიწყო.

დამფუძნებელი კრების დებულების შემუშავებას თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. ყოველ მუხლს გულდასმით და საფუძვლიანად განიხილავდნენ. ცხარე პაექრობა იყო კრების წევრთა რაოდენობის განსაზღვრის, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ამომრჩეველთა ასაკის დადგენის, ჯარისკაცების, პოლიციისა თუ ადმინისტრაციის მოხელეთათვის ხმის უფლების მიცემა-არმიცემის შესახებ და სხვ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართებოდა. დამფუძნებელ კრებაში აირჩევდნენ 130 დეპუტატს, ხოლო საარჩევნო ხმის უფლებით ისარგებლებდნენ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 20 წელი.

1918 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დამფუძნებელი კრების დებულება და დაამტკიცა კრების ხარჯთაღრიცხვა. მთავრობას დაევალა დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩასატარებლად გამოეყო 4 მილიონი მანეთი.[2] დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა.

შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია სოციალ-დემოკრატ ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი თედო ღლონტი, ხაზინადარი - ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. კომისიაში სულ 21 კაცი შედიოდა. იმ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ კოალიციური იყო, მაგრამ ხელისუფლებაში მაინც ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური

1 გაზ. „ერთობა," 1919 წ., 22 იანვარი.

2 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1919 წ., 15 იანვარი.

ძალა -საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია დომინირებდა. შესაბამისად, მათ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დანარჩენებზე მეტი - 7 წევრი ჰყავდათ წარგზავნილი. სხვა საპარლამენტო პარტიები - სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები - ორ-ორი კაცით, ხოლო არჩევნებში მონაწილე უფრო მცირერიცხოვანი პოლიტიკური სუბიექტები კომისიაში თითო-თითო წევრით იყვნენ წარმოდგენილი.

ჩამოყალიბდა საგუბერნიო, სამაზრო, სასოფლო (საუბნო) კომისიები. განისაზღვრა ელექტორატის რიცხვი - 876 910 ამომრჩეველი, რომელიც მიახლოებითი გამოთვლით, საქართველოს მთელი მოსახლეობის 45 %-ს შეადგენდა (ხსენებულ რაოდენობაში გათვალისწინებული არ ყოფილა ზოგიერთი იმ კუთხის მონაცემი, რომლებშიც კენჭისყრა ამ თუ იმ გარემოების გამო ვერ იმართებოდა). დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები. მოეწყო საარჩევნო უბნები: თბილისში – 50, ქუთაისში 12 და ა.შ. #1 საარჩევნო უბანი განთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არჩევნების წინა პერიოდში ოთხი ძირითადი პარტია გამოირჩეოდა: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა. მათგან უფრო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული სოციალ-დემოკრატია იყო. ამ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებით მოფენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხე. ქართული სოციალ-დემოკრატია თავის რიგებში 80 ათასამდე წევრს მოითვლიდა და ჰყავდა თვალსაჩინო ლიდერები ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძის, სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის და სხვათა სახით.

ფედერალისტთა პარტია უმთავრესად ინტელიგენტურ ფენებს აერთიანებდა. ეროვნულ-დემოკრატების სოციალური ბაზა კი შედარებით ფართო იყო. იგი ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწეთა გარდა ქართველი საქმიანი წრეების, თავადაზნაურობის, ვაჭართა თუ გლეხობის წარმომადგენლებსაც მოიცავდა. ეს პარტიები ხალხმრავალი არ ყოფილან, მაგრამ გააჩნდათ დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, დასაყრდენი ჰქონდათ სამხედროთა შორის, სტუდენტ-ახალგაზრდობაში და სხვ. ეროვნულ-დემოკრატთა ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენდნენ: ნიკო

ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, სპირიდონ კედია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გვაზავა; სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მეთაურობდნენ სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, იოსებ ბარათაშვილი. რაც შეეხება ქართველ ესერებს, ისინი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე რუსეთის სოციალიტ-რევოლუციონრთა პარტიაში შედიოდნენ და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად მხოლოდ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ ჩამოყალიბდნენ. ესერთა პარტიას სათავეში ედგნენ ლეო შენგელაია, იოსებ გობეჩია და გრიგოლ ნათაძე.

დამფუძნებელი კრების მანდატების მოპოვების მიზნით უშუალოდ არჩევნების წინ შეიქმნა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა 15 პარტია, კავშირი და ჯგუფი. არც ერთი მათგანი სხვასთან საარჩევნო ბლოკად არ გაერთიანებულა. თითოეულმა კანდიდატთა საკუთარი სია წარადგინა და ძალა დამოუკიდებლად მოსინჯა. საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტები რეგისტრაციაში შემდეგი თანმიმდევრობით გატარდენ: #1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია; #2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; #3. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; #4. დაშნაკცუთიუნი, #5. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია; #6. მუსულმანთა ეროვნული საბჭო; #7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; #8. საქართველოს ეროვნული პარტია; #9. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია; #10. შოთა რუსთაველის ჯგუფი; #11. დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი; #12. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი; #13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ); #14. ესთეტიური ლიგა პატრიოტებისა და #15. საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.[1] კანდიდატთა სიაში ყველაზე მეტი - 130 წევრი ჰყავდა დასახელებული სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ყველაზე ცოტა, მხოლოდ ერთი კაცით იყო წარმოდგენილი შოთა რუსთაველის ჯგუფი პარტია. დეპუტატობის მსურველთა საერთო რაოდენობა 550-ს აღემატებოდა.

საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სპექტრის შემადგენლობა მეტად საყურა-

1 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 1, საქმ. 118, ფურც. 68-90.

დღებოა ეთნიკური თვალსაზრისით. აქ ქართული პოლიტიკური პარტიების გარდა წარმოდგენილი არიან საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების - აზერბაიჯანელ მაჰმადიანთა ორი (მუსულმანთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი), სომეხთა (დაშნაკცუთიუნი), ბერძენთა (საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი) და ნაწილობრივ რუსთა (რსდმპ) ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციებიც. ეს მკაფიო დასტურია იმისა, რომ ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეროვნულ საკითხს ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპებით უდგებოდნენ, სატიტულო ერის გვერდით ფართო უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი „ნატეხი ერებიც“ (ასე მოიხსენიებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს 1918-1921 წლების საქართველოში).

მართალია, საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება დიდწილად ხელოვნურად იყო შექმნილი XIX საუკუნეში რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურები ანგარიშს უწევდნენ ფაქტობრივ რეალობას და ეროვნულ უმცირესობებს ქართულ სახელმწიფოში სამოქალაქო ინტეგრაციის სრულ შესაძლებლობებს უქმნიდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. მისი 7 მუხლიდან 3 (მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე) ეროვნულ უმცირესობებს შეეხებოდა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა;“ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს;“ „დამფუძნებლი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ იმთავითვე ტოლერანტული კურსი აირჩია. ეროვნულ უმცირესობებს ქვეყანაში ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრების, თავისუფალი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მიეცათ.

ეროვნულ უმცირესობათა უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიარებულიც იყო და დაცულიც. ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოში არ იყო „ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებად ვრაცხდით.“[1] ასეთივე იყო ძირითადი პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებაც საქართველოში ბინადარი არაქართველებისადმი, რაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ და ნათლად წარმოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისას. „სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი არიან ერთი ერის მიერ მეორე ერის დაჩაგვრისა და შევიწროების. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში ყველა ერი უნდა თანასწორი იყოს და თითოეულ მათგანს სრული საშუალება მიეცეს ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა,“ - აღნიშნავდა სქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის წინასაარჩევნო პლატფორმაში.[2]

„იმ არაქართველი ერის შვილებს, რომელნიც გაფანტულნი არიან ჩვენში, შეადგენენ უმცირესობას და არა აქვთ მთლიანი მოსახლეობა, ჩვენ მივცემთ კულტურულ ავტონომიას კულტურული საქმეების გასაძღოლად, მათ ხელში გადავა ნაწილი სახელმწიფოს შემოსავლისა, მათი ენა შემოღებულ იქნება ადგილობრივ დაწესებულებაში,“ - აცხადებდნენ სოციალისტ - ფედერალისტები და დასძენდნენ: „კიდევ მეტის უფლებით უნდა იქნეს აღჭურვილნი აფხაზეთისა და სამაჰმადიანო საქართველოს თვითმმართველობის ორგანოები, რომელნიც სრულიად ავტონომიურად უნდა განაგებდნენ თავიანთ შინაურ საქმეებს. უნდა იცოდნენ ჩვენმა ძმებმა მუსულმანმა ქართველობამ და ჩვენმა მონათესავე აფხაზებმა, რომ მათ თავისუფლებას და კეთილდღეობას ისე არავინ დაიცავს, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.“[3]

„სოციალიზმის სამეფოში ყველა ერი უნდა შევიდეს ეროვნული ინდივიდუალობის მრავალფეროვნებითა და თავისებურებით. ...ესერთა პარტიისთვის არ არსებობს „ელინი და იუდეველი.“ სომეხი, თათარი თუ ბერძენი მუშისა და გლეხის ინტერესები მისთვის ისეთივე ძვირფასია, როგორც ქართველი გლეხისა და პროლეტარიატის ინტე-

1 ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 104.

2 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 22 იანვარი.

3 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919 წ., 26 იანვარი.

რესები," - ვკითხულობთ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიმართვაში ამომრჩევლებისადმი.[1]

დამფუძნებელი კრების არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება არ შეუზღუდავთ ბოლშევიკებისთვისაც, რომლებიც არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და გამალებით მის დამხობას ესწრაფოდნენ. ბოლშევიკებს ოპოზიცია არ ეთქმოდათ, ისინი ქვეყნის დანარჩენი პოლიტიკური ძალებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა, დაუფარავი მტრობითა და მისი ხელისუფლების სიძულვილით გამოირჩეოდნენ.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევის მომენტისათვის თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ქონდათ რამდენიმე საოლქო და საქალაქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. მათ ამაზე უარი პრინციპული მოსაზრებით განაცხადეს, გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და კრემლის მითითებათა შესაბამისად, ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელშიც წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ, 1919 წლის თებერვალში არჩევნების ჩასაშლელად ფართო მასების მიზიდვის მიზნით შემდეგი მოწოდება გაავრცელა: „მენშევიკები და ყველა რჯულის ნაციონალისტები აპირებენ კვლავ მოატყუონ ხალხი, იწვევენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით. ...ჩვენი პარტია, მუშების, ღარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა პარტია გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენშევიკებს, ყველა კაციჭამია ნაციონალისტებსა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კვლავ მოატყუონ ხალხი. ისინი აპირებენ სამუდამოდ მოსწყვიტონ ჩვენი ქვეყანა რევოლუციურ რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს, სურთ გადააქციონ იგი გაზულუქებულ ქართველთა მამულად. ამიტომაც ჩვენი პარტია არ იღებს

1 გაზ. „შრომა," 1919 წ., 12 თებერვალი.

მნელად. ფედერალისტები ამასთან, მძლავრი საქალაქო და საერობო თვითმმართველობის საფუძველზე საქართველოს „თვითმმართველი ერთეულების კავშირად, ფედერაციად“ სახეცვლილების დაპირებითაც გამოდიოდნენ.[1]

„თავისუფალ მიწაზე თავისუფალი მიწის მუშა,“ „სოციალისტური ძალაუფლებიდან - სოციალიზმისაკენ,“ ასეთი იყო ქართველ ესერთა მთავარი გზავნილი ხალხის, უმთავრესად გლეხობისადმი, რომელთა წიაღშიც ეგულებოდა ამ პარტიას მხარდამჭერთა უმრავლესობა.[2]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თუ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გაშალეს სააგიტაციო მუშაობა, ეწყობოდა საჯარო ლექციები, შეკრებები, გაზეთების მეშვეობით პარტიები მოსახლეობას განუმარტავდნენ დამფუძნებელი კრების რაობას, მის მნიშვნელობასა თუ საჭიროებას. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა შალვა ალექსი-მესხიშვილმა გორში წაიკითხა საჯარო მოხსენება თემაზე „საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა და დამფუძნებელი კრება“, პარლამენტის წევრები რაფიელ ივანიცკი (ინგილო) და იოსებ მაჭავარიანი მოხსენებებით გამოვიდნენ თელავის საზოგადოების წინაშე[3] და სხვ.

„დამფუძნებელი კრება - ეს რევოლუციის გვირგვინია; მის შენაძენთა განმტკიცებაა, მის წყალობათა და მადლთა ქვეყნიურ რეალობად ქცევაა, ხალხის ბატონობის დღესასწაულია;“ „დამფუძნებელი კრება რესპუბლიკის დედაბოძია, მისი დანგრევა თვით ამ რესპუბლიკის ძირის გამოთხრაა,“ „დამფუძნებელი კრება დიდი, საისტორიო, საკაცობრიო მოვლენაა, - იგი ხალხის გამარჯვების მომასწავებელია,“ - წერდა გაზეთი „ერთობა“[4] და მკითხველს არჩევნების აუცილებლობაში არწმუნებდა.

---

1 გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919 წ., 26 იანვარი.

2 გაზ. „შრომა,“ 1919 წ., 12 თებერვალი.

3 გაზ. „საქართველო,“ 1919 წ., 26 იანვარი.

4 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 1919 წ., 15 იანვარი; 12 თებერვალი.



მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში და გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება (საარჩევნო ურნებთან მივიდა ელექტორატის დაახლოებით 58 პროცენტი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ლეგიტიმურად ჩაითვალა 505 477 ხმა; პირველ დამატებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ათასამდე ამომრჩეველმა).

როგორც სავარაუდო იყო, არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. მათ ხმების 84 %-მდე დააგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრტებმა და ფედერალისტებმა დამფუძნებელ კრებაში 8-8 დეპუტატი გაიყვანეს, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ერგოთ.

დამატებით არჩევნებს დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქვეყნის პოლიტიკურ საჭეს სოციალ-დემოკრატები დაეუფლნენ.

დამფუძნებელი კრების არჩევნებს ოფიციალური საერთაშორისო მეთვალყურეები და დამკვირვებლები არ დასწრებიან. ოპოზიციურმა პარტიებმა, მართალია, ხმის მიცემისას სხვადასხვა დარღვევა გამოამჟღავნეს, აღნიშნეს ხარვეზები, რამაც გარკვეული ჩრდილი მიაყე-

ნა არჩევნებს, მაგრამ მათივე სამართლიანი შეფასებით, ყველაფერი რომ იდეალურად წარმართულიყო, საბოლოო შედეგი დიდად მაინც არ შეიცვლებოდა.

ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. როგორ შეიძლება აიხსნას ამ პარტიის ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატება? გაზეთი „გრუზია“ შენიშნავდა: „დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას არგუნა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოციალიზმის პრინციპებს აღიარებდეს. ეს არის პირდაპირი და ბუნებრივი შედეგი იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიც ჩვენ ას წელზე მეტი ვიმყოფებით. უსამართლობას, უფულობას და გაჭირვებას მიჩვეული მშრომელი ხალხი მისდევს იმ პარტიებს, რომელნიც ადვილად აძლევენ დაპირებებს.“[1]

სოციალური დემაგოგიის გარდა, რასაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების რუსულენოვანი გაზეთი მიუთითებდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიღწევა დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვა ფაქტორებმაც უზრუნველყო. ამ პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვა არა იმიტომ, რომ მისი პროგრამა და საარჩევნო პლატფორმა სხვაზე უკეთესი იყო (დამფუძნებელი კრების არჩევნებისას პროგრამათა ჭიდილი არ გამართულა), ანდა მარქსისტული იდეოლოგია სჯობდა ეროვნულ მიზანდასახულობებს. საქმე ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატებს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნდათ (მონაწილეობდნენ და გაიმარჯვეს რუსეთის ოთხივე სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში), როგორც ძირითადი სახელისუფლებო პარტია, იგი ფლობდა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებზე მეტ ფინანსებს, ჰქონდა აგიტაცია-პროპაგანდის გაცილებით ფართო საშუალება, მის სასარგებლოდ მოქმედებდა არჩევნების პროპორციული სისტემა და სხვ. ამასთან, პარტიის საკანდიდატო სია გამოირჩეოდა ეთნიკური და სოციალური შემადგენლობის მრავალფეროვნებით, რაც ამომრჩევლის ფართო სპექტრის მიმხრობის მარჯვე საშუალება იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მასობრიობამ, სახალხოობამ

1 გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 22 თებერვალი.

და საარჩევნო სტრატეგიის სწორად გათვლამ განაპირობა კიდეც მისი წარმატება.[1]

ეროვნული საკრებულოს დეპუტატები გახდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო მოღვაწეები: ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, შალვა ალექსი-მესხიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ნათაძე და სხვ. დამფუძნებლი კრების დეპუტატთა შორის ქართველთა გარდა იყვნენ აფხაზები, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა - ოსების, სომხების, აზერბაიჯანლების, რუსების, ებრაელების, ბერძენთა და გერმანელთა წარმომადგენლები (ყველანი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან).

საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატის მანდატებს ფლობდნენ:

სომხები

1. აუშტროვი რუბენ - სოციალ-დემოკრატი
2. ვარდოიანცი მიკიჩ - სოციალ-დემოკრატი
3. ავეტისიანი ტიგრან - დაშნაკციუთუნი
4. დავითხანიანი დავით - დაშნაკციუთუნი
5. ზორიანი ზორი - დაშნაკციუთუნი.

რუსები

1. ზახაროვი დიმიტრი
2. კოვალიოვი მიხეილ
3. ლოსკუტოვი ანდრია.

ოსები

1. გაგლოევი გიორგი
2. პანიევი კონსტანტინე
3. ფარნიევი ალექსანდრე.

ებრაელები

1. გერშტეინი ერიკ
2. დავარაშვილი მოსე
3.ელიგულაშვილი იოსებ.

აზერბაიჯანელი

1. მამედოვი ჰუსეინ

ბერძენი

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016, გვ. 22.

1.პაშალიდი ივანე
გერმანელი
1. ბიული პავლე.[1]

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან ხუთი იყო ქალი: ელისაბედ ბოლქვაძე, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე და ქრისტინე შარაშიძე (ყველა სოციალ-დემოკრატი).[2]

დამფუძნებელი კრება მოწოდებული იყო გამოეხატა ერის უზენაესი ნება, ინტერესები და მისწრაფებანი. „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი," ასე უწოდებდა დამფუძნებელ კრებას შალვა ნუცუბიძე, თავად ერთი გამორჩეული წევრი ამ წარმომადგენლობითი ორგანოსი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 1919 წლის 12 მარტს, თბილისში, ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლეთა სასახლე) გაიხსნა. კრების გახსნა ფირზე აღბეჭდა რეჟისორმა გერმანე გოგიტიძემ. იმდროინდელმა პრესამაც შემოგვინახა ამ ისტორიული მოვლენის ამსახველი დოკუმენტური მასალა. ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით: „სასახლესთან ტევა აღარაა. ქუჩის ორივე მხარე სავსეა ხალხით. ნემსი ვერ ჩავარდებაო რომ იტყვიან, სწორედ ისეა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. ...სასახლის თეთრი დარბაზის შუაში სხედან სოციალ-დემოკრატები, მარცხნივ სოციალისტ-ფედერალისტები და ესერები, მარჯვნივ ეროვნულ-დემოკრატები. სავსეა პრესის წარმომადგენელთა ლოჟა. აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა - ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, შვეიცარიის, ესპანეთის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩეხოსლოვაკიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, უკრაინის და სხვ. წარმომადგენლები. 12 საათსა და 5 წუთზე სხდომას ხსნის უხუცესი დეპუტატი სილიბისტრო ჯიბლაძე,

---

1 საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბ., 2016; ასევე, http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=184

2 მეხუთე ქალბატონი ამავე პარტიიდან - ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი (საკანდიდატო სიაში 110-ე ნომერი) - დეპუტატი გახდა ნ. კაციაშვილის გარდაცვალების შემდგომ, როგორც ადგილმონაცვლე. იხ. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2017, გვ. 88.

მდივნობს ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფაღავა."[1]

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, თავმჯდომარის უფროს ამხანაგად (პირველ მოადგილედ) - ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოციალ-დემოკრატი). თავმჯდომარის ამხანაგებად (მოადგილეებად) აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი); მდივნობა დაეკისრათ გრიგოლ (გიგო) ნათაძესა (სოციალისტ-რევოლუციონერი) და ქრისტინე შარაშიძეს (სოციალ-დემოკრატი).

სხდომის დასასრულს წაიკითხეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც პირველებმა ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა, შემდეგ სხდომის დამსწრე დამფუძნებელი კრების 99 დეპუტატმა.

დამფუძნებელი კრების პირველი დღე თავისი მნიშვნელობით გამორჩეული თარიღია საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში. ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა ეროვნული სახალხო-წარმომადგენლობითი საკრებულო, როგორც ქვეყნის სრულიად ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. დასაბამი მიეცა ფართო კანონშემოქმედებით პროცესს, რომელიც 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციის მიღებით დაგვირგვინდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოღვაწეობის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, რომელიც 1990 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.[2]

დამფუძნებელი კრების არჩევნებში, როგორც ითქვა, დამაჯერებლად გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა და სადეპუტატო მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას დაეუფლნენ. კოალიციური პრინციპით შექმნილი მთავრობა შეიცვალა და იგი მთლიანად არჩევნებში გამარჯვებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დააკომპლექტა. მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ნოე ჟორდანია დაამტკიცეს. კაბინეტის წევრები გახდნენ: ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, კონსტანტინე კანდელაკი.

---

1 გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ., 14 მარტი.

2 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990.

სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ერთპიროვნულ მმართველ პოლიტიკურ ძალად იქცა. დანარჩენმა სახელისუფლო პარტიებმა ამჯერად ოპოზიციაში გადაინაცვლეს. ისინი არ გაურბოდნენ საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობას, მაგრამ კრიტიკულად უდგებოდნენ მთავრობისა თუ მისი პარტიის ყოველ საკანონმდებლო ინიციატივას, გამოთქვამდნენ შენიშვნებს, სთავაზობდნენ ალტერნატიულ წინადადებებსა და სხვ.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ თავისი ორწლიანი მოღვაწეობით წარუშლელი კვლი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მდიდარი და ნაყოფიერი საქმიანობით მან შექმნა საყურადღებო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ისტორია - სახელმძღვანელო, გამოცემლობა „ბაკურ სულაკაური," პარ. 21 (გვ.113-118)
2. ისტორია - სახელმძღვანელო, გამოცემლობა „დიოგენე," პარ. 26 (გვ.139); პარ. 28 (გვ. 147-150); პარ. 28 (გვ. 151-154)
3. მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე, ირაკლი იაკობაშვილი, პაატა სურგულაძე, თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე - საქართველოს დამფუძნებელი კრება; ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება, გვ. 297-303; ხელმისაწვდომია მისამართზე: https://bit.ly/4dH8eHx
4. ოთარ ჯანელიძე - დამფუძნებელი კრება და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი; ხელმისაწვდომია მისამართზე: https://files.fm/f/yr7n8sb77y
5. საქართველოს დამფუძნებელი კრება – 12 მარტის ზეიმი ტფილისში; ხელმისაწვდომია მისამართზე: https://civil.ge/ka/archives/279337
6. საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია; ხელმისაწვდომია მისამართზე: https://bit.ly/4dFiBv8
7. საქართველოს დამფუძნებელი კრება - ხელმისაწვდომია მისამართზე: https://firstrepublic.ge/ka/theme/54
8. საქართველოს კონსტიტუცია. 1921 წელი - ხელმისაწვდომია მისამართზე: https://files.fm/f/y34kw53g3a

საკითხი III. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთთან

სამიზნე ცნებები: წყარო

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება.

პროექტული დავალების პირობა

წარმოიდგინეთ, რომ ხართ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. დაწერეთ მოხსენება, რომელითაც უნდა წარდგეთ ერთა ლიგაზე ევროპული სახელმწიფოების მეთაურების წინაშე. მოხსენებაში განიხილეთ რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ყველა უარყოფითი ფაქტორი, რომლებიც ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს და დაარწმუნებთ ევროპელ პოლიტიკოსებს აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების აუცილებლობაზე.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოადგინეთ:

- რომელი ტიპის წყაროდან გვაქვთ ინფორმაცია რუსეთ- საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ;
- რამდენად სანდოა აღნიშნული წყაროს საფუძველზე საკუთარი მოსაზრების/ პოზიციის დასაბუთება;
- რამდენად საფუძვლიანია თქვენი კრიტიკა ხელშეკრულების მუხლების შესახებ, რომლებიც საფრთხის ქვეშ დააყენებს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

მეთოდური ორიენტირები

საკვანძო კითხვები:

- რამდენად მნიშვნელოვანი წყაროა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება? მასზე დაყრდნობით რა შეგვიძლია ვთქვათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ?
- რა ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნული წყარო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ?

სარეკომენდაციო აქტივობა I. გაეცანით კონტექსტ- მაგალითს და შეავსეთ პერსონაჟის რუკა

როდის ხდება მოქმედება:

სად ხდება მოქმედება:

მთავარი გმირი:

მეორეხარისხოვანი პერსონაჟები:

სიუჟეტი (პრობლემა):

მოვლენა 1: **მოვლენა 2:** **მოვლენა 3:**

შედეგი:

სარეკომენდაციო აქტივობა II.

გაეცანით ტექსტსა და კონტექსტ- მაგალითს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1920 წლის 7 მაისს რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ და წერილობით გადმოეცით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის.

დადებითი	უარყოფითი

სარეკომენდაციო აქტივობა III.

1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბოლშევიკური რუსეთის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების მუხლები რა ძირითად ვალდებულებებს აკისრებდა სახელმწიფოებს.



სარეკომენდაციო აქტივობა IV.

გაეცანით კონტექსტ- მაგალითს და საკითავ მასალას, მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები და გააკეთეთ დასკვნა, რომლის მიხედვითაც შეავსებთ ცხრილს.



სარეკომენდაციო აქტივობა V.

გაეცანით კონტექსტ- მაგალითს და საკითხავ მასალას და ცხრილის დახმარებით გამოყავით 7 მაისის ხელშეკრულების შედეგად გამოწვეული ფაქტორები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტზე.



კონტექსტ-მაგალითი (ქეისი)

გრიგოლ ურატაძის მოგონებები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების ხელის მომწერი, რუსეთში საქართველოს პირველი ელჩი გრიგოლ ურატაძე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დეტალებს იხსენებს:

„ორი წელიწადი უსრულდებოდა დამოუკიდებელ საქართველოს, იგი ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი დე-იურედ. იმ დროს ახალი სახელმწიფოების ცნობა- არცნობა დამოკიდებული იყო პარიზში არსებული გამარჯვებული სახელმწიფოების უმაღლეს საბჭოზე ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის მეთაურობით. ჩვენი მთავრობა ყველ ღონეს ხმარობდა, დაჩქარებული ცნობა მიეღო რაც შეიძლება დაჩქარებით. უმაღლესმა საბჭომ ყველა ამ ახალი სახელმწიფოების ცნობა- არ ცნობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა დაუკავშირა რუსეთის საკითხს. რუსეთის საკითხის გადაჭრა კი გადადო სულ ბოლოსათვის. საერთაშორისო აღიარების დაგვიანება კი დიდ საფრთხეს უმზადებდა ჩვენს ახალ რესპუბლიკას. საკითხის დასაჩქარებლად ჩვენს მთავრობას აზრად მოუვიდა, ეცადა ცნობის მიღება თვით საბჭოთა რუსეთისაგან და თუ ამ ცნობას მიიღებდა, დარწმუნებული იყო, გავლენა ექნებოდა პარიზის უმაღლესი საბჭოზედაც საქართველოს ცნობის საკითხში. ცდა ბედის ნახევარიაო - იტყვიან, ამიტომ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ დამავალა მე, როგორმე მომეხერხებინა მოსკოვში მისვლა და საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება. ჩემი წასვლა უნდა მომხდარიყო საიდუმლოდ, რომ არგაეგოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რადგანისინიმტრულადიყვნენგანწყობილი საკუთარი ქვეყნისათვის და შეეძლოთ ხელი შეეშალათ ჩვენი ცნობისათვის, არც იმ ძალებს უნდა გაეგოთ, ვინც სამოქალაქო ომში იყვნენ მენშევიკებთან, რადგან მე მათ ტერიტორიაზე მიხდებოდა გავლა. მოგზაურობა მეტად რთული აღმოჩნდა, ხიდები ბევრგან ჩატეხილი იყო, ხშირად მატარებლის რესები აყრილი, სადგურები გადამწვარ- მინგრეული. ნოვორასიიდან- როსტოვამდე ვიმგზავრე მატარებლით. ორთქმავალს მივყავდი დანგრეულ ხიდამდე, იქ ხიდის ნაგრევებზე ფეხით გადავდიოდი და იქიდან მივყავდი მეორე ორთქმავალს მეორე მდინარემდე, იქ იგივე პროცედურა მეორდებოდა. ერთ ადგილას ორთქმავალს ნახშირი არ ეყო და ტყის პირას გაჩერდა, ჩვენ დავაგროვეთ შეშა, შევუკეთეთ და გავსწიეთ. დიდი დავი-დარაბით ჩავაღწიე როსტოვში, იქ განთავსებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო, ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გაძევებული იყვნენ საქართველოდან ექსპროპრიაციის ან მოღალატეობრივი ჩადენისათვის საქართველოს მენშევიკურ რესპუბლიკას უწოდებდნენ. როსტოვის ჩრდილოეთ ნაწილში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი, იქ მოქმედი ჯარი ემორჩილებოდა იმ სამხედრო- რევოლუციურ საბჭოს, რომლის თავმჯდომარე იყო ორჯონიკიძე. მისი ნებართვის გარეშე როსტოვიდან გასვლა შეუძლებელი იყო, მის ხელში იყო აგრეთვე ყოველგვარი ცნობათა გადამცემი აპარატი: ფოსტა, პირდაპირი მავთული და სხვ. ორჯონიკიძე მეტად მტრულად შეხვდა ჩემს მისიას, მარწმუნებდა, რომ მოსკოვი არაფრით არ დასთანხმდებოდა საქართველოს იურიდიულ ცნობაზე, რადგან ამის წინააღმდეგი იქნებოდა სტალინი, რომელიც მაშინ საბჭოთა მთავრობის ეროვნებათა კომისარი იყო, მეც მასთან ვარ ამ საკითხშიო, ამიტომ შენი მოსკოვში წასვლა უმიზნოა,

ჯობია დაბრუნდე საქართველოში, ამაში კი ყოველგვარ დახმარებას გაგიწევო მეუბნებოდა. ორჯონიკიძე ჩემი ძველი ნაცნობი იყო, ამიტომ გარეგნულად მეტად თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ როგორც კი მოსკოვში წასვლაზე ჩამოვაგდებდი ლაპარაკს უარს მეუბნებოდა. ერთადერთი სამსახური, რომელიც მან გამიწია, იყოს ის, რომ მომცა ოფიციალური ნებართვა გავსულიყავი სადგურში, როცა მინდოდა. ორი კვირა დავდიოდი სადგურში, მაგრამ ერთი სამგზავრო მატარებელიც არ დაძრულა მოსკოვისაკენ. ერთ საღამოს მოვიდა სადგურზე არანორმალურად გრძელი მატარებელი საქონლის ვაგონებისაგან შემდგარი, ვაგონზე წითელი ასოებით იყო წარწერები - ამხანაგ ლენინს პერეკოვის მუშებისაგან. პერეკოვზე იმ ხანებში ბრძოლები იყო ვრანგლერის ჯართან, რომელიც დაამარცხა წითელმა ჯარებმა, რომლის ერთ-ერთი მეთაური იყო ცნობილი ბოლშევიკი საკოლნიკოვი. იგი მიდოდა მოსკოვში და მიჰქონდა პურის ფქვილით და სხვა პროდუქტებით დატვირთული ვაგონები საჩუქრად ლენინს, ვითომ და იქაური მუშებისაგან, ნამდვილად კი იყო ომის ნადავლი ვრანგლერის დამარცხების შემდეგ. სადგურში ვიყავი, როდესაც ეს მატარებელი მოვიდა. გავიგე, რომ ეს მატარებელი პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და არის ამხანაგ საკოლნიკოვის განკარგულებაში. მოვახერხე მისი ნახვა, მან ჯერ მიმიღო როგორც ამხანაგი, მაგრამ როცა გაეცნო ჩემს მისიას და გაეცნო ჩემს მანდატს, რომელიც როგორც მეფის დროს, ახლაც შარვლის სათავეში მქონდა ჩამალული, მეგობრული კილოთი მითხრა, რადგან თქვენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ხართ, მე არ შემიძლია ადგილი შემოგთავაზოთ ჩემს ვაგონში და გასცა განკარგულება ჩამოებათ მატარებლის ერთი ვაგონი ჩვენი მისიისათვის. მე მეტად გახარებული ვიყავი მით, რომ საშუალება მომეცა მოსკოვში წასვლის, ჩემდა ბედად, იმ დღეს ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიაში იყო წასული და ვერ შეძლო ხელის შეშლა, ალბათ ძალიან ინანა, რომ აღარ დავხვდი, მაგრამ რაღას გააწყობდა. ამ მატარებლით ჩავედი მოსკოვში. პირველ ყოვლისა ვინახულე ლენინი და ჩემი მისია გავაცანი. ქართველი მენშევიკები, - მიპასუხა მან სულ სხვა ხალხი ხართ, თქვენთან მუშაობა შეიძლება, მაგრამ იმ პირობოთ, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ჯარების საომარ ბაზად ჩვენ წინააღდეგ, მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ პირადი მდივანის პირით აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეიძლება დაჩქარებით დაესრულებინა. მისგან ასეთი ადვილი დათანხმება მოლაპარაკებაზე შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბაქო თავისი ნავთით მის ხელში იყო და აღარ სურდა გაერთულებინა მდგომარეობა კავკასიაში. მით უმეტეს, რომ კარზე ადგა ომი პოლონეთთან. მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი, რადგან კრემლის ყველა კომისარიატი მუშაობდა ღამით. ჩიჩერინმა წარმომადგენლად დანიშნა თავისი მოადგილე კარახანი და დავიწყე მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა, არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ, შემდგომ როგორცერთმაგლეხმამითხრაციხეში,რატომდაგიწყებდნენდავას,თურმემთელი საქართველოს ერთად წაღებას აპირებდნენო. ზავის შეკვრის დროს ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარით და ყველაფერს ცდილობდა, მოსკოვი საქართველოს დაპყრობის ფაქტის წინაშე დაეყენებინა. მე მალე დავრწმუნდი, რომ ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა, იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი, ეს ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, როდესაც გავიგე რომ რუსეთის ჯარები იბრძვიან საქართველოს საზღვართან აზერბაიჯანის მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განვუცხადე, რომ თუ არ მიიღებდა შესაბამის ზომებს, იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპარაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყონებლივ გადაეცა ორჯონიკიძისათვის, რომ

თუ წითელ ჯარებს საქართველოსთან შეტაკება მოუხდებოდა პასუხიმგებელი პირადად ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი მავთულით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა, არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილებიო. 7 მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას. ბოლშევიკების გულწრფელობა არასდროს არ მწამდა, მათი გუნება კარგად ვიცოდით და მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც ასე მოკლე დროში, ამის დაჯერება ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოვალეობად გაიხადა, რომ ის არასგზით არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და აღვივებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას. ქართველი ხალხის მიერ გაძევებული ქართველი კომუნისტებიც ყოველი მხრიდან უსისინებდნენ და აქეზებდნენ მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ და კიდევაც მოიყვანეს წითელი ჯარები, დაიპყრეს მათი საშუალებით ქვეყანა და გაბატონდნენ. ამრიგად, ისინი აღმოჩნდნენ საუკეთესო გამტარებლები მოსკოვის წითელი იმპერიალიზმისა. მაგრამ დგება განკითხვის დღე, დღეს მთელი დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნები შეერთებული შტატების მეთაურობით საბჭოთა კავშირის სხვა დაჩაგრულ ერებთან ერთად მედგრად იბრძვიან საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და ეჭვი არაა, ბოლო მოუღონ ამ საშინელ რეჟიმს, მაშინ საქართველო აღადგენს თავის უდაო უფლებებს და თვით გამონახავს სიტყვას და ურთიერთობას ყველა თავის მეზობელ ერებთან.“

ამ ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შინაარსი ასეთია:

- რუსეთი ყოველი პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავისი ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოსა და მისი მიწა-წყლის მიმართ;
- რუსეთი ხელს იღებს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე;
- საზღვრების საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს სასარგებლოდ. სხვათა შორის, რუსეთი აღიარებს, რომ მთელი ბათუმის ოლქი შედის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში;
- საქართველო და რუსეთი პირობას დებენ ურთიერთშორის დაიცვან ნეიტრალიტეტი და ნება არ მისცენ თავ-თავიანთ ტერიტორიებზე მოხდეს ორგანიზაცია ისეთი ძალების და ჯგუფებისა, რომელნიც მიზნად დაისახავენ იარაღით შებრძოლებას და ხსენებულ რესპუბლიკებში არსებული წეს-წყობილების დამხობას. თუ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე ასეთი ძალები გაჩნდება, მათ იარაღი უნდა აეყაროთ და მოთავსებულ იქნენ განსაკუთრებულ ადგილებში.

რაც შეეხება ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას, მასში ვკითხულობთ:

„საქართველო ვალად იღებს მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციებს თავისუფალი არსებობის და მოღვაწეობის, კერძოდ, თავისუფლად კრებების მოწვევის და თავისუფალ გამომცემლობის (ბეჭდვის ორგანოების) უფლება“

წასაკითხი მასალა (რიდერი)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის ხელშეკრულება რუსეთთან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა დასავლეთის ქვეყნების აღიარება მოეპოვებინა, თუმცა დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა თავს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე იურედ ეცნო, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ამ დროისთვის რუსეთს მკაფიოდ გამოხატული მიზნები ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში, რასაც ბოლშევიკების მიერ მუშების აჯანყების დაუოკებელი მცდელობა მოწმობდა. საბოლოო ჯამში ნავსი თავად რუსეთმა გატეხა და 1920 წლის 7 მაისს საქართველოს სახელმწიფოსთან ხელშეკრულება გააფორმა.

ბოლშევიკი აკაკი კობახიძე, პარტიული მეტსახელით „მირსკი," ისტორიაში შევიდა, სულ ცოტა, ორი ეპიზოდით: 1922 წელს, სუფრასთან კამათის დროს, სერგო ორჯონიკიძეს „სტალინის ვირი" უწოდა. მანამდე კი, ორი წლით ადრე, 1920 წლის მაისში, ლენინთან უშუამდგომლა საქართველოს მთავრობასა და მის წარმომადგენელს, გრიგოლ ურატაძეს, რომელიც, თავის მხრივ, ასევე პირადად იცნობდა ვლადიმირ ლენინს სტოკჰოლმისა და ლონდონის კონფერენციებიდან.

სერგო ორჯონიკიძე და იოსებ სტალინი

საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია მოგონებებში იხსენებს, თუ როგორ შეატყობინა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა აკაკი კობახიძის დაჟინებული თხოვნის ამბავი: „აგერ მთელი თვეა, ერთი ქართველი კომუნისტი, ცკ-ის წევრი რუსეთში, მეხვეწება, გამატანეთ ვინმე თქვენი კაცი მოსკოვში და იქ მოვახერხებ ლენინი დავითანხმო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზეო. ამ მისიის მთავარი პირობა იყო საიდუმლოება, ე.ი. ქართველ კომუნისტებს არ უნდა გაეგოთ წასვლამდე, თუ არა უეჭველად ჩაშლიდნენ.“



გრიგოლ ურატაძე

1920 წლის მაისის 7-ს, ღამის 12 საათსა და 20 წუთზე, საქართველოს წარმომადგენელმა, დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ურატაძემ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის. „გილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადების გამო“, - წერდა ჟორდანია მოსკოვში მყოფ გრიგოლ ურატაძეს. - „გადაეცით სოვნარკომს, რომ ზავის ცნობა ხალხმა აღტაცებით და დიდი სიამოვნებით მიიღო. ამიერიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა საქართველოსა და რუსეთს შორის მოისპობა და ორივე მოძმე ხალხი შეთანხმებით იმუშავებენ ახალ ცხოვრების შესაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს“.


ზავი საბჭოთა რუ-
სეთ თან.
(მთავრობის ცნობა).
მაისის 7-ს ღამის 12 საათსა და 20 წუთზე საქართველოს წარმომადგენელმა დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის.
ძირითადი მუხლები ხელშეკრულებისა შემდეგია:
1) რუსეთი ყოველ პირობის გარეშე
npig.gov.ge (Courtesy Photo)

ასეთი ტექსტით იწყება საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელიც, ჯამში, 16 მუხლისა და 2 საიდუმლო პუნქტისგან შედგება. „რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა ერთის მხრით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მეორეს მხრით, ხელმძღვანელობენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ცხოვრება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოთ, გადავსწყვიტეთ დავსდოთ ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს ამისთვის თავიანთ რწმუნებულებათ: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე - ლევ მიხეილის ძე კარახანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე“.

ამ ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შინაარსი ასეთია:

- რუსეთი ყოველი პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავისი ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოსა და მისი მიწა-წყლის მიმართ.
- რუსეთი ხელს იღებს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.
- საზღვრების საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს სასარგებლოდ. სხვათა შორის, რუსეთი აღიარებს, რომ მთელი ბათუმის ოლქი შედის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.
- საქართველო და რუსეთი პირობას დებენ ურთიერთშორის დაიცვან სასტიკი ნეიტრალიტეტი და ნება არ მისცენ თავ-თავიანთ ტერიტორიებზე მოხდეს ორგანიზაცია ისეთი ძალების და ჯგუფებისა, რომელნიც მიზნად დაისახავენ იარაღით შებრძოლებას და ხსენებულ რესპუბლიკებში არსებული წესწყობილების დამხობას. თუ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე ასეთი ძალები გაჩნდება, მათ იარაღი უნდა აეყაროთ და მოთავსებულ იქნენ განსაკუთრებულ ადგილებში.

რაც შეეხება ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას, მასში ვკითხულობთ: „საქართველო ვალად იღებს მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციებს თავისუფალი არსებობის და მოღვაწეობის, კერძოდ, თავისუფლად კრებების მოწვევის და თავისუფალ გამომცემლობის (ბეჭდვის ორგანოების) უფლება. ყოველ შემთხვევაში, არავითარი რეპრესიული ზომების მიღება არ შეიძლება კერძო პირთა წინააღმდეგ, როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული წესით, უკეთუ ეს ზომები გამომდინარეობენ საზოგადო პროპაგანდისა და აგიტაციისათვის კომუნისტური პროგრამის სასარგებლოდ ან პირთა და ორგანიზაციათა მოღვაწეობიდან, რაც დაფუძნებული იქნებოდა კომუნისტურ პროპაგანდაზე“. საიდუმლო დამატების მეორე პუნქტით, ხელშეკრულების ეს ნაწილი ძალაში შევიდა დოკუმენტზე ხელმოწერისთანავე.

შედეგად, ქართველ ბოლშევიკებს მიეცათ ლეგალური საქმიანობის უფლება. ხელშეკრულების დადებიდან ერთ თვეში თბილისში გამოსვლა დაიწყო გაზეთმა „კომუნისტმა“ ფილიპე მახარაძის რედაქტორობით. მალე პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1200-მდე კომუნისტი. ამ მუხლმა საქართველოს რეალურად ვერანაირი საფრთხე ვერ შეუქმნა ორი მიზეზის გამო: ერთი ის, რომ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ დასაყრდენი საზოგადოებაში და მეორე - ქართული სპეცსამსახური, რომელიც ყველა ბოლშევიკსა და რუსეთის საელჩოს თანამშრომელში ჯაშუშს ხედავდა, გასაქანს არ აძლევდა მათ. კი, ცხადია, ხელშეკრულების ამ მუხლზე ამყარებდნენ იმედს სტალინი და ორჯონიკიძე, რომ შიგნიდან გატეხდნენ საქართველოს, როცა ციხეებიდან გამოვიდოდნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ საქართველოს თვითგასაბჭოება, გარედან ჩარევის გარეშე, არ გამოვიდოდა. რუსეთის ელჩი, სერგეი კიროვიც, ვერ მალავდა იმედგაცრუებას, როცა ლენინს სწერდა: „ქართველი მენშევიკები, რომლებიც უკიდურესად მტკიცენი და ორგანიზებულნი არიან, დაპატიმრებულ კომუნისტებს რომ ათავისუფლებდნენ, ამით სხვებს თავის გამჟღავნების საშუალებას აძლევდნენ და დაუყოვნებლივ იწყებდნენ მასობრივ რეპრესიებს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“.



ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში დამფუძ. კრების წევრს გრ. ურატაძეს: გილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადების გამო. გადაეცით სოვნარკომს, რომ ზავის ცნობა ხალხმა აღტაცებით და დიდი სიამოვნებით მიიღო. ამიერიდან, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა საქართველოსა და რუსეთს შორის მოისპობა და ორივე მოძმე ხალხი შეთანხმებით იმუშავებენ ახალ ცხოვრების შესაქმნელად სოციალისტურ საფუძველზე. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს.

nplg.gov.ge (Courtesy Photo)

7 მაისის ხელშეკრულებას რიგი საკითხებისა უნდა გადაეჭრა, თუმცა მთელი 9 თვის განმავლობაში რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტს იწვევდა ხუთი საკითხი:

- საქართველოს ურთიერთობა ვრანგელთან
- რუსული მატარებლების გატარება სომხეთისკენ
- კომუნისტური პარტიის უფლებები
- სასაზღვრო დავები
- ბათუმის საკითხი

რუსეთის საელჩოს ერთ-ერთ საპროტესტო ნოტაში, რომლის ადრესატი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორია, ვკითხულობთ: „კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ ინგლისელების მიერ ბათუმის დაკავება, როგორი ფორმითაც უნდა მოხდეს ეს, რუსეთსა და საქართველოს შორის 7 მაისს მიღწეული შეთანხმების აღმაშფოთებელ დარღვევად იქნება აღქმული და რომ ამგვარმა ფაქტმა, შესაძლოა, დაარღვიოს რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა“.

მსგავსი მუქარის შემცველ ნოტებს რუსეთის წარმომადგენლობა ლამის ყოველკვირა უგზავნიდა საქართველოს საგარეო უწყებას. 1920 წლის დეკემბერში რუსულმა მხარემ მოითხოვა: საქართველოს რუსეთისათვის გადაეცა ვრანგელის

გემები; მიეცა საქართველოს გავლით სომხეთისკენ ტრანზიტის საშუალება; გაეთავისუფლებინა ქართველი ბოლშევიკები; შეეწყვიტა ანტისაბჭოთა რეპრესიები; დასთანხმებოდა სომხეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში რუსეთის ჩართვასა და რუსეთის კუთვნილი თანხების გათავისუფლებას და ა.შ. ევგენი გეგეჭკორმა გემების გადაცემაზე თანხმობა განაცხადა, ისევე როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე კომუნისტების დეპორტაციასა და ტრანზიტზე, მაგრამ რუსული თანხების გაყინვაზე უარი არ თქვა იმის გამო, რომ რუსეთს საქართველოს კუთვნილი ლოკომოტივები და ვაგონები დაპატიმრებული ჰქონდა აზერბაიჯანში.

მუქარანარევი საპროტესტო ნოტების პარალელურად, საქართველოში შეჭრის ნებართვის მისაღებად, მოსკოვში დროდადრო დეპეშებს გზავნიდა კავბიუროს ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც ყოველ ჯერზე ლენინის პრაგმატული გადაწყვეტილებები აკავებდა. 1921 წლის 2 იანვარს სერგეი კიროვმა და სერგო ორჯონიკიძემ კავბიუროს სახელით მოსკოვს კიდევ ერთხელ მოსთხოვეს საქართველოში ჯარების შეყვანა, მაგრამ ლენინისგან კვლავ უარი მიიღეს: „უარი ეთქვას. წინადადება მიეცეს კავბიუროს, მკაცრად იხელმძღვანელოს ცკ-ს მიერ ამ საკითხზე უკვე მიღებული გადაწყვეტილებით“.სერგო ორჯონიკიძე მიხვდა, რომ საჭირო იყო აჯანყება, უფრო სწორად, ისეთი რაღაც, რასაც აჯანყება დაერქმეოდა და მართლაც, ლორეს ოლქში, რომელიც ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული, დაიწყო ასეთი აჯანყება სერგოს თანამებრძოლების, ღაზიანისა და ოვსეპიანის, მეთაურობით. აჯანყებულებმა იმავე დღეს დახმარება სთხოვეს მე-11 წითელ არმიას. ორჯონიკიძის ძალისხმევით ლორეს ხეობაში დაწყებულ „აჯანყებას“ დაემატა სერგეი კიროვის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ცნობები, რომ საქართველო კვლავ უარს ამბობდა ტრანზიტული ტვირთების გატარებაზე და რომ საქართველოს მთავრობა ქემალისტურ თურქეთთან რუსეთის წინააღმდეგ კრავდა პირს.

1920 წლის 7 მაისის შემდეგ, ვლადიმირ ლენინი პირველად აღარ იყო შეუვალი საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულების დაცვის საკითხში: „შევეკითხოთ კავბიუროს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებელი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება (ამასთან, იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა) დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ჩიჩერინი, სტალინი“.

28 იანვარს სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ორჯონიკიძეს და მოსთხოვა ზუსტი და გაუზვიადებელი ცნობების მიწოდება, რათა სცოდნოდათ მოსკოვში, თუ რა ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს უეჭველი დამარცხებისათვის.

1921 წლის 15 თებერვალს სტალინი უდეპეშებს ბაქოში მყოფ სერგოს: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!“

სერგო ორჯონიკიძის პასუხი ათი დღით დაიგვიანებს: „თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! 1921 წ. 25 თებერვალი“

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, ნოე ჟორდანიაც, მიიჩნევდა, რომ საქართველომ აწარმოა საგარეო კავშირებისა და მეგობრობის, მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში შესვლის აქტიური პოლიტიკა, მაგრამ, მისივე თქმით, ეს ხაზი დაამარცხა გარეშე უძლეველმა გარემოებამ: „დავრჩით მარტო. ჩვენ წინააღმდეგ მოიმართა ყველა საგარეო ძალები, მაგრამ ამას არ შევხვდით პანიკურად, არ დავუჩოქეთ მოსკოვს, არ მივეცით ახალი თამასუქები და არ ჩავუვარდით ძველებურად კალთაში... ქართველი ერი განაგრძობს ბრძოლას, იარაღს არ ყრის“.

ოქმი

ქვემორე ხელისმომწერებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ლევ მიხეილის ძე კარახანმა, ხელი მოაწერეს რა აღნიშნულ დღეს თავიანთი მთავრობების რწმუნებულებათა საფუძველზე ამა წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ საქართველოსა და რუსეთის ხელშეკრულებას, თავიანთი მთავრობებისგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, თითეულმა მიიღო აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ოქმი თავისი მთავრობისათვის გადასაცემად. ამასთან, ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულების ორივე ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მას მთლიანად, გარდა V მუხლის მე-10 პუნქტისა, რომელიც ხელმოწერის დღიდან ორი კვირის შემდეგ გამოქვეყნდება. ამის დასადასტურებლად ქვემორე ხელისმომწერებმა შეადგინეს ეს ოქმი და დაამტკიცეს თავიანთი ბეჭდებით. შედგენილია მოსკოვში ორ ეგზემპლიარად ათას ცხრაას ოცი წლის 7 მაისს.

გ. ურატაძე
ლ. კარახანი

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთი მხრივ და რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრივ, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით, დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა ხსენებული ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადასწყვიტეს, შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე (საგარეო, ა.ჯ.) საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს ერთმანეთს თავისი რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრული გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველი პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II

გამოდის რა ხსენებული ხელშეკრულების მუხლში აღიარებული პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს, ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III

1. სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილი შავი ზღვის, ქუთაისისა და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებული ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს აქვს უფლება, დაიკავოს ეს უღელტეხილები თავისი ჯარებით ან/და გაამაგროს ისინი.

3. დარიალის უღელტეხილებზე ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრელიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე, ზარამაგიდან ონამდე და ყველა სხვა უღელტეხილზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4. სახელმწიფო საზღვრის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცდება ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV

1. რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად, გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც საქართველოს საზღვრებში გადადის ხსენებული ხელშეკრულების პირველი და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე, ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის, და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და, აგრეთვე, ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2. შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობით გამორკვევის მიხედვით საქართველოსა და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ და

5. შესაძლებელია, შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან, გარდა იმისა, რომელიც აღწერილია ხსენებული ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზად იქნება, იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილებად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს (სამეფისნაცვლოს, ა.ჯ.) ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებული ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედროძალთა და სხვა მოქმედებათა, რომლითაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს, მოახდინოს:

1. დაუყოვნებლივ განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე

მყოფთა, თუკი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში, შესაძლოა, მის საზღვრებში გადავიდნენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნად ექნებათ რუსეთის ან მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება.

2. დაუყოვნებლივ განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავსადგურებში მყოფი გემებისა, რომლებიც შედის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო-სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3. ყოველგვარი ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულისთანხები, რომელნიცამმუხლისპირველპუნქტშიაღნიშნულორგანიზაციათა და ჯგუფების მფლობელობასა, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად, სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ქონებით, იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტო (მათ შორის სასურსათო და ნივთიერი დაკმაყოფილების), საინჟინრო და საავიაციო მოწყობილობანი.

4. განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

6 შენიშვნა: რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადმოცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5. მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიცამხელშეკრულებისმეოთხემუხლითარისგანსაზღვრული,ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6. მიღებული იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომლებიც ამ მუხლის მეხუთე პუნქტში არიან აღნიშნული.

7. იმ პირებს, რომელნიც ამ მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტებში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენადაც ეს პირები თავიანთი ეროვნებით არ არიან ქართველები, აეკრძალოთ რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისედ, საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8. ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომლებიც დადგენილია ამ ხელშეკრულების მეოთხემუხლით,მომავალშიარმისცენშედგენისადაარსებობისსაშუალებარაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში. აგრეთვე, არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლობებსა და თანამდებობის პირებს, ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომელთაც მიზნად ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს, არ დაუშვას ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება, ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად.

აგრეთვე, აეკრძალოს თავის ნავსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემების და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამ მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებული ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამ მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნული პირობის თანახმად მოეპყრობიან.

10. ამ მუხლის მეხუთე პუნქტით დათქმული ღონისძიებების შესრულება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. საქართველო ვალდებულებას იღებს, უმოკლეს ვადაში დაამთავროს ისინი, თუნდაც შეიარაღებული ძალების გამოყენებით.

მუხლი VI

რუსეთი ვალდებულია, მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების უფლება არ მისცეს არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მისი ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ და, აგრეთვე, იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნით საქართველოს მთავრობის დამხობა ექნებათ განზრახული. რუსეთი ვალდებულია, იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათ ტერიტორიაზე არ დაუშვან ამ მუხლში აღნიშნული ჯგუფებისა და ორგანიზაციების არსებობა.

მუხლი VII

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად, ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოსთან, რუსეთის გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი VIII

1. ამ ხელშეკრულების მუხლების მეხუთეს და მეექვსეს სისწორით შესრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარი წევრების რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ შემუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა დამთავრდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი IX

1. საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან, შეუძლიათ საქართველოს

ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2. დაწვრილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ განსაკუთრებული შეთანხმებით დამტკიცდება ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3. ორივე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ, ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებული უფლებით, ვალდებულნი იქნებიან, აასრულონ სავალდებულო ფორმალობა

4. ერთი წლის განმავლობაში, ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარი შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი X

საქართველო ვალდებულია, გაათავისუფლოს სასჯელისგან და, აგრეთვე, შემდეგში სასამართლო და ადმინისტრაციული წესით დევნისგან ყველა პირი, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისთვის.

შენიშვნა: საქართველო ვალდებულია, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს საპყრობილედან ყველა ის პირი, რომლებსაც ბრალად ედებათ ზემოთაღნიშნული მოქმედებები.

მუხლი XI

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას, გერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და გერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია მასში იყოს შეტანილი, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი XII

ეკონომიკური დამოკიდებულებანი საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებული ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები და რომელსაც უნდა დაედოს საფუძვლად ქვემოთ მოყვანილი საერთო დებულებანი:

1. ორივე ხელშემკვრელი მხარე ურთიერთშორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2. იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარიდან დანიშნულებისამებრ, მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადოს.

მუხლი XIII

ხსენებული ხელშეკრულების მე-12 მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები საფუძვლად უნდა დაედოს სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12 მუხლის ძალით უნდა დაიდოს ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XIV

9. დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოსა და რუსეთს შორის უახლოეს დროში უნდა აღდგეს, ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშორის კონსულების დამოკიდებულებების შესახებ განსაკუთრებული

შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იყოს ყოველგვარი ზომა. მათი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებული კანონმდებლობით.

მუხლი XV

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძვრება ორი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე, ზოგიერთი ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ უახლოეს დროში დაარსდება. შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორი ხელშემკვრელი მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება:

1. სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებების შედგენა;

2. მოწესრიგება საკითხებისა, რომლებიც შეეხება ყოფილი ცენტრალური არქივების, საქმის

საწარმოებელ დაწესებულებათგან ან სასამართლო-ადმინისტრაციულ დეპოზიტების და აგრეთვე, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3. გამორკვევა საკითხისა ბათუმი-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგვისა და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც ხსენებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე იარსებებს. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებული შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი XVI

ხსენებული ხელშეკრულება ძალაში შევა თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია. ამის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავისი ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში, 1920 წელს, 5 მაისს ორ ეგზემპლიარად.

გ. ურატაძე,
ლ. კარახანი

1920 წლის 7 მაისსვე გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა:

მუხლი I

საქართველო ვალად იღებს, აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოქმედების უფლება, კერძოდ, შეკრებების თავისუფალი მოწყობისა და საგამომცემლო საქმიანობის განხორციელებისა (მათ შორის საგამომცემლო ორგანოებისა). არანაირ შემთხვევაში არ შეიძლება პირების ან ორგანიზაციების მხრიდან არანაირი რეპრესიების გამოყენება კერძო პირთა მიმართ, როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული, გამომდინარე საჯარო პროპაგანდიდან და აგიტაციიდან კომუნისტური პროგრამის ან საქმიანობისა, რომელიც დამყარებულია კომუნისტურ პროგრამაზე.

მუხლი II

აღნიშნული საიდუმლო დამატება ითვლება ქვემორე ხელშემკვრელ მხარეთა მიერ 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი შეთანხმების განუყოფელ ნაწილად, მაგრამ არ ექვემდებარება გამოქვეყნებას და ხელშემკვრელი მხარეები შეინახავენ მას საიდუმლოდ. ხსენებული ხელშეკრულება ძალაში შევა თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია. ამის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავისი ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში, 1920 წელს, 5 მაისს ორ ეგზემპლიარად.

გ. ურატაძე,
ლ. კარახანი

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება (1920 წლის 12 მაისი)

ო ქ მ ი

ქვემორე ხელისმომწერები, რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე იღებენ რა მხედველობაში, რომ რუსეთის მთავრობამ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებისგან თანხმობა მიიღო ქვემოთ მოტანილი მუხლების შინაარსის შესახებ, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I

საკითხი ზაქათალის ოლქში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიების შესახებ განსახილველად გადაეცემა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით შექმნილ საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლების თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისგან შემდგარ შერეულ კომისიას. ამ კომისიის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო იქნება საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებისთვის.

მუხლი II

საქართველო და აზერბაიჯანი ზემოთაღნიშნული კომისიის მიერ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოხსენიებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ზაქათალის ოლქში არ შეიყვანენ თავის ახალ საჯარისო ნაწილებს, გარდა იმისა, რაც ამჟამად, შეთანხმების ხელის მოწერის დროს ჰყავთ.

მუხლი III

აღნიშნული ხელშეკრულება განიხილება როგორც 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში რუსეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან და საჭირო არ იქნება მისი განსაკუთრებული რატიფიკაცია. ამის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავისი ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში, ათას ცხრაას ოცი წლის 12 მაისს ორ ეგზემპლიარად.

ბ.ა. ლ. კარახანი
ბ.ა. გ. ურატაძე

გამოყენებული ლიტერატურა

- ისტორია XII კლასი, გამომცემლობა დიოგენე, ნატა ახმეტელი, ბონდო კუპატაძე, გვანცა აბდალაძე, ნიკოლოზ მურღულია, თბილისი, 2012
- ისტორია XII კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. ნინო კიღურაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი სანიკიძე, თბილისი, 2012
- გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წლის 11 მაისი, N103. ზავი საბჭოთა რუსეთთან (მთავრობის ოფიციალური ცნობა) https://civil.ge/ka/archives/350635
- 7 მაისი: აღიარება დაპყრობის წინ. ჯიმშერ რეხვიაშვილი. რადიო თავისუფლება. 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31240484.html
- საქართველოს პირველი რესპუბლიკა. საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. https://archive.gov.ge/storage/old_files/doc/2/2784.pdf
- საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. სიმონ კილაძე. 2020 https://bit.ly/3QFudVj
- გრიგოლ ურატაძეს მოგონება 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.https://bit.ly/4dBOsgf

საკითხი IV. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია ბოლშევიკური რუსეთის მიერ

სამიზნე ცნებები: სივრცე, საზოგადოება

გაეცანით კონტექსტ-მაგალითს და შეასრულეთ პროექტული დავალება

პროექტული დავალების პირობა

წარმოიდგინე, რომ ხარ იუნკერი და მოგიწია წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. შექმენი ჯარისკაცის ჩანაწერები- დღიური, რომელშიც ასახავ ფრონტის ხაზზე გატარებულ პერიოდსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოადგინეთ:

- რომელ გეოგრაფიულ სივრცეში/არეალში მოგიწიათ ფრონტის ხაზზე ყოფნა და წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა?
- რამდენად მნიშნელოვანი იყო თქვენი ყოფნა სამხედრო პოზიციებზე და ზოგადად აღნიშნულ ომში?
- რა საერთო საზრუნავი, ღირებულებები, იდენტობა, ინტერესი გქონდათ ომში მყოფ ჯარისკაცებს?
- რატომ მიიჩნევდით „კულტურულ სხვად“ წითელარმიელ ქართველ ჯარისკაცებსა თუ ოფიცრებს?